საქართველოს პრეზიდენტი: შევიმუშაოთ და მივიღოთ კანონი არჩევნების გაყალბებისა და მოსახლეობის ნებისმიერი ფორმით მოსყიდვისათვის უმკაცრესი სასჯელის დაწესების თაობაზე

„ДИЛА АМ ГАЗЕТИС ГАДАМЛИТ ДАИЩЕТ...“ ჯიგარ ფაღავა

ეს „საქართველოს რესპუბლიკა“ The Georgian Railway Ltd

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია Georgian International Oil Corporation

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №143 (4522) სამშაბათი, 3 ივნისი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტი

მაიკლ ჰაგი: „ქართველი და ამერიკელი ჯარისკაცები ერთად ძალიან კარგად მუშაობენ“

„კიდევ უფრო განმიმტკიცდა რწმენა, რომ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამას წარმატებით დავასრულებთ,“ – დაასკვნა საქართველოში ვიზიტად მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითთა ძალების სარდალმა გენერალმა მაიკლ ჰაგმა 2 ივნისს, პროგრამით გათვალისწინებულ წვრთნებზე დასწრების შემდეგ. იმავე საღამოს, საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან მეხვედრაზე, გენერალმა ჰაგმა განაცხადა, რომ ქართველი და ამერიკელი ჯარისკაცები ერთად ძალიან კარგად მუშაობენ.

„35 წელიწადია, რაც ვმსახურობ, და თვალის ერთი შევლებით შემიძლია შევაფასო, რამდენად ერთგულია ჯარისკაცი თავისი საქმისა. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ქართველ ჯარისკაცებში დიდი მონდომება და ნიჭიერება დავინახე“, – განაცხადა გენერალმა ჰაგმა. ამერიკელი სტუმრის თქმით, მისი ვიზიტის მიზანია გაეცნოს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებულ ვითარებას, რამიც ძალიან დაეხმარა შეხვედრები სამეთაურო ცენტრში და გენერალური შტაბის წევრებთან. ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ძალების სარდალმა, თავისი ქვეყნის მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს ანტიტერორისტულ ოპერაციაში მხარდაჭერისათვის. „კარგად გვესმის, რომ ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება და ამიტომაც უფრო მეტად ვაფასებთ მას“, – განაცხადა გენერალმა და დინტერესდა ედუარდ შევარდნაძის შეხედულებით „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის გაგრძელების თაობაზე.

იხ. მე-2 გვ.

გვილოცავენ

მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენი ქვეყნის ერთგულ დღესასწაულთან დაკავშირებით მსურს ბედნიერება და კეთილდღეობა გისურვოთ როგორც პირადად თქვენ, ასევე მთელ ქართველ სალხს. ჩემი სურვილია აგრეთვე თქვენი თანამემამულეების შემდგომი სულიერი განვითარება და ბრდა უფრო მეტად ერთსულოვანი და სგაბილური საზოგადოებრივი წყობის პირობებში, იმ საზოგადოებისა, სადაც განუხრელად იცავენ ადამიანის უფლებებს.

უფალს შევთხოვ ღვთის კურთხევა არ მოგაკლოთ პირადად თქვენ, თქვენს თანამემამულეებსა და თქვენი ქვეყნის მთავრობას.

იოანე-პავლე II.

მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო,

პირადად ჩემი და ესპანელი სალხის სახელით მსურს საუკეთესო, გულთბილი სურვილებით მოგმართოთ თქვენი ქვეყნის ერთგულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა კიდევ ერთხელ გისურვოთ მშვიდობა და კეთილდღეობა როგორც პირადად თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ასევე მეგობარ ქართველ სალხსაც.

უღრმესი პატივისცემით,
ხუან კარლოსი,
ესპანეთის მეფე.

„ყველაზე მეტად სწორედ მე ვარ დაინტერესებული, რომ ნოემბრის პარლამენტისა და 2005 წლის პრეზიდენტის არჩევნებმა განამტკიცონ ქართული დემოკრატია, რომლის შექმნას მეც და მთელმა ჩვენმა ხალხმა ამდენი შრომა შევალიეთ“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2 ივნისის რადიოინტერვიუ

– ბასულ კვირას სანკტ-პეტერბურგი საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. პეტრეს ქალაქი დაარსების 300 წლისთავს აღნიშნავდა. რით იყო გამორჩეული ეს იუბილე და რა მნიშვნელობა აქვს მას საქართველოსათვის? – ჟურნალისტის ნატო ონიანის ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის გრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში განაცხადა:

იხ. მე-2 გვ.

წინ არჩევნებია!

ერილი ივნისის „ცხელი დღეები“...

მართალია, თბილისში ჯერჯერობით არ იგრძნობა ბაფხულის ხვაგი, სამაგიეროდ, პოლიტიკურ რინგზე უკვე სკმაოდ ცხელა. გაუთავებელმა დებატებმა, დაპირისპირებამ, ერთმანეთის ლანძღვა-გინებამ, საპარლამენტო სესიების გაუთავებელმა ჩამლა-გადადებამ პიკს მიაღწია. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგეებმა „მოთელვა“ დაამთავრეს და ახლა ოპოზიცია პირველი დარტყმისთვის ემზადება – დღეს 3 ივნისს, პარლამენტის წინ დაეგეგმილია პირველი გამაფრთხილებელი აქციის მოწყობა. რას იმბობს ხელისუფლება? რამდენიმე კითხვით მივმართე ფრაქციის „თანადგომის“ თავმჯდომარეს ედბუკა მეძმარიაშვილს.

იხ. მე-2 გვ.

სხვა გაზეთიდან

ვინ გახდება პრეზიდენტი პუტინის შემდეგ?

იხ. მე-5 გვ.

პეტერბურგიდან ჩამოტანილი

სანქტ-პეტერბურგის 300 წლის საიუბილეო ღონისძიებებზე ფესრიგის დასაცავად მოსკოვიდან 9 ათასი მილიციელი მიავლინეს.

როგორი იყო მათი გაოცება, როცა დაადგინეს, რომ ადგილობრივ მცსოვრებთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას არ ჰქონდა მოსკოვური ჩაწერა.

დეტალი

ათი წლით ვადის გაგრძელებაზე არავითარი საუბარი არ ეოფილა



დეტალი, მაგრამ – მნიშვნელოვანი, ანუ, უფრო შუსგად, – რა თქვა უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ახსაზეთში (საქართველო) დსთ სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელების შესახებ.

რა თქვა იქ და იმ დროს, სადაც და როდესაც განცხადებულს ფასი აქვს და წონა, ანუ პრესკონფერენციაზე, რომელიც მსოფლიო (შეიძლება ამის თქმა, რადგან პეტერბურგის 300 წლის საიუბილეო ზეიმზე პრაქტიკულად მთელი მსოფლიო პრესა იყო წარმოდგენილი) ჟურნალისტთა თანამეგობრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით 2003 წლის 30 მაისს საზღვაო ლაინერ „სილვერ ვისპერის“ მე-7 გემბანის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

კი ღირს ამ უნიკალურ, ექვსვარსკვლავიან (5+1) ბროლის მცურავ სრასასხლეზე დაწერილებით საუბარი, რომლითაც ათდღიანი კრუიზი ერთი პერსონისათვის 7-დან 12 ათას დოლარამდე ღირს, მაგრამ სხვა დროისთვის გადავდოთ და ჩვენს სათქმელს დავუბრუნდეთ.

„სილვერ ვისპერ“ ინგლისურიდან ითარგმნება როგორც „ვერცხლის ჩურჩული“, – მესანიმნავი მეგაფორაა.

მაგრამ ეს მეგაფორა ამ გემზე დაბინავებული ვიპ-პერსონების – პრეზიდენტების ურთიერთობის ხასიათს სრულიადაც არ ასახავს: დასამალი და საჩურჩულო, გინდ ვერცხლის, გინდ ოქროსი, იქ არავის არაფერი ჰქონდა.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

უახლოეს ხანში წარუდგენენ...

უახლოეს ხანში საბოლოო სახეს მიიღებს მინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მაგარებული მოქალაქეთა აღწერისა და არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა სიები, რომლებსაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენენ.

თავდასცის მინისტრი – თურქეთში

საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალლეგენანტი დავით თევზაძე სამუშაო ვიზიტად თურქეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა. იგი სხვა ქვეყნების მაღალჩინოსნან წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს აქ გამართულ კონფერენციაში – „აბრეშუმის გზა 2003“.

სახლ-მუზეუმის აღდგენა დაიწყო

თბილისში დაიწყო გამოჩენილი მთარგმნელისა და სახელმწიფო მოღვაწის ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის აღდგენითი სამუშაოები. ამ მიზნით, პრეზიდენტის განკარგულებით, ბიუჯეტიდან 150 ათასი ლარი გამოიყო.

„ბუგული“ კვლავ ეკლის

ბორჯომ-ბაკურიანის მონის ერთ-ერთი განსაკუთრებული თავისებურება მინა-მაგარებელი „ბუგული“ კვლავ იყლის საქართველოს ორ შესანიშნავ კურორტს ზორის. როგორც შშს „საქართველოს რკინიგზის“ შეთავერმა აკაკი ჩხაიძემ განაცხადა, ამ მაგისგრალის რიგმული შუშაობისათვის ბიგო მეიერ სიმძლავრის ახალი ელმავალი. თანაც ელეულს ქვეყნის რკინიგზელებმა იგალიელ და ინგლისელ პარტნიორთა ხელშეწყობით დაიწყეს განძელებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვება, რომლებიც ჯერ კიდევ ცოგა ხნის წინათ საბჭოგრგრეთიდან შემოაქონდათ.

გაბასებული ბიზნესმენი გათავისუფლებულია

ბუშინ დილით, გაათავისუფლეს მუსგიიდან გაგაცებული ბიზნესმენი გოგი ფილფანი. ძალოვანთა თქმით, მის გამოსახსნელად პოლიციას არავითარი სპეციალური ოპერაცია არ განუხორციელებია და არც გამოსასყიდი გადაუხდია ვინმეს.

დანაკლისი ბოლო თვეში უნდა შეეავსო

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 30 მაისამდე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ანგარიშზე მიღებული სახსრების საერთო მოცულობამ, 343,2 მლნ. ლარი შეადგინა, საიდანაც ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავალი 244,2 მლნ. ლარს, ანუ პროგნოზირებულის 63 პროცენტს შეადგენს. აქედან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური ბიუჯეტის ექვსთვიანი საპროგნოზო პარამეტრის შესასრულებლად დარჩენილ დასაფარებით ერთ თვეში მთლიანი საპროგნოზო მოცულობის 37 პროცენტის მობილიზება უნდა შესძლოს.

ძართულ ღვინოზე მოთხოვნილება იზრდება

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემებით, წლეულს ოთხ თვეში ქვეყნიდან ექსპორტგირებული ღვინისა და ღვინომასალების ოდენობამ 480,4 ათასი დეკალიტრი შეადგინა. წლეგანდელი მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიური პერიოდისას 154,3 ათასი ლარით აჭარბებს.

საანალიზო პერიოდში საქართველოდან ღვინისა და ღვინომასალების ექსპორტი მსოფლიოს 14 ქვეყანაში განხორციელდა.

ინფორმაციები მოგაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-ჯინგმა.

საცხვრე ხორხი.
ფოტო ჟურნალიდან „ოფეხა“ №6, რომლის რეცენზია იხ. მე-6 გვ.

ლარის კურსი

3 ივნისიდან დადგინდა ლარის ფიმართ უცხოური ვალუტის ფემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.5045	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1525	ლარი
ევრო	1	2.5146	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0703	ლარი.

მოწვევა კონკურსზე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საწარმოთა მართვის სააგენტო“ აცხადებს კონკურსს ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად.

კონკურსი გაიმართება 2003 წლის 14 ივნისს 11 საათზე. განაცხადი მიიღება ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 10 საათიდან 17 საათამდე.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მსურველებს შეუძლიათ მიმართონ შესარჩევი კონკურსის სამდივნოს: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. № 64 (ყოფილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შენობა), ტელეფონი: 29-30-58.

ინტერპანორამა

„ДИДИ РВИАНИС“ ფარგლებში შეიქმნება გერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების ჯგუფი. ევიანში მიმდინარე „დიდი რვიანის“ სამაგმი მონაწილე ქვეყნების დიდერებმა მიიღეს დეკლარაცია, რომლითაც ადიარებენ მსოფლიოში საერთაშორისო გერორიზმის „სერიოზულ საფრთხეს“, და განცხადებენ მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

პენტაგონს შენობაში შეადწია მზვერავმა მგრედმა, რომელსაც 40 წუთის მანძილზე იუერდნენ. იგი დაუბრკოლებლად აფრინდა მეოთხე სართულზე და დერეფანში, დონალდ რამსფელდის კაბინეტის სიახლოვეს შოკალაძდა. ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს შენობაში მგრედის შეღწევის ფაქტის გამო დაწყებულია გამოძიება.

აშშ ახალ სამომარ ოპერაციებს აშშ-ისაკენ ავალანვთში. იგი განხორციელდება პაკისტანის საზღვართან განლაგებულ პაკისტის პროვინციაში. სწორედ პაკისტანის მოსაზღვრე ავალანთის რაიონებში შეიმჩნევა მოთარეშეთა შედარებითი აქტიურობა.

შპს „მაგთიკომი“
MAGTICOM Ltd

შპს „მაგთიკომში“ იცავს თავის საქმიანობაში აბსოლუტური გამჭვირვალობის პრინციპს და გაწვდით ინფორმაციას კომპანიის მიერ საქართველოს ეკონომიკაში შეტანილი წვლილის შესახებ.

2003 წლის მაისში შპს „მაგთიკომის“ ამ წლილმა ყოველგვარი ჩათვლის გარეშე შეადგინა 6,874,865,56 ლარი, ხოლო 2003 წლის გაზმავლობაში (აგრეთვე, ყოველგვარი ჩათვლის გარეშე) – 23,430,507.79 ლარი, აქედან:

	2003 წლის მაისი	2003 წლის 5 თვის განმავლობაში
საქართველოს მოსახლეობა ფულადი ფორმით ბაჟია შემოსავლის დასაფარად 30%	62,576.00	493,958.58
GSM	1,723,946.35	5,241,338.52
მიღების განაკვეთი	3,400,000.00	7,000,000.00
საქმიანობა განაკვეთი	94,580.30	493,765.57
ტარიფის განაკვეთი	268,749.99	713,235.68
ტარიფის განაკვეთიდან განაკვეთი		4,500.00
ფასიანი ბარათების განაკვეთი		364,258.30
საგზაო ფული		645,463.45
სოფლიური განაკვეთი	157,900.00	820,000.00
სასაო განაკვეთი	1,088,946.27	3,268,062.34
ფასიანი ბარათების ფასიანი		17,434.25
ტელეფონის განაკვეთი		64,251.00
ტელეფონიდან მასალებიანი	692.00	17,817.00
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	127,465.96	323,500.77
სულ:	6,874,865.56 ლარი	23,430,507.79 ლარი

შპს „მაგთიკომში“ დასაქმებულია 400 თანამშრომელი.

შპს „მაგთიკომი“ შუშაობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სგანდარგების (ბასს)-ის მიხედვით.

პაგივისცემით, ლევან ბუჩუკური, შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორი.

„ყველაზე მეტად სწორედ მე ვარ დაინტერესებული, რომ ნოემბრის პარლამენტისა და 2005 წლის პრეზიდენტის არჩევნებმა განამტკიცონ ქართული დემოკრატია, რომლის შექმნას მეც და მთელმა ჩვენმა ხალხმა ამდენი შრომა შევალიეთ“

(პირველი გვერდიდან)

— სანკტ-პეტერბურგის იუბილე მართლაც საერთო ევროპულ დღესასწაულად იქცა.

პეტერბურგის გარეშე წარმოუდგენელია ევროპის ისტორია. ისევე როგორც, თვით ეს ქალაქი იქცა ევროპის განუყოფელ ნაწილად და რუსეთის პროგრესულ ძალთა ევროპულ მისწრაფებათა გამოხატულებად.

მოგეხსენებათ, პეტრე დიდმას აღიქვამდა, როგორც „ევროპაში გაჭრილ ფანჯარას“.

სანკტ-პეტერბურგმა მეცნიერებისა და კულტურის ჭეშმარიტი გიგანტები შესძინა მსოფლიოს, რომელთა გარეშეც საკაცობრიო კულტურული საგანძური ბევრად ღარიბი იქნებოდა.

ეს დიდი ქალაქი საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილიცაა. მე-18 საუკუნიდან სანკტ-პეტერბურგი ქართული კულტურის ერთ-ერთ კერად იქცა.

მრავალმა ღირსეულმა ქართველმა, მეომარმა, მხედართმთავარმა, მწერალმა თუ მეცნიერმა იღვაწა და ისწავლა ამ ქალაქში. სანკტ-პეტერბურგში აღიზარდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ფუძემდებელნი და კორიფეები. მათ შორის ჩვენი ერის სულიერ მამად წოდებული ილია ჭავჭავაძე და სხვა „თერგდალეულნი.“

საბჭოთა პერიოდშიც ლენინგრადში მრავალი შესანიშნავი ქართველი მამულიშვილი მოღვაწეობდა, ვინც ჩვენს ერს ამ დიდ ქალაქში გაუთქვა სახელი.

თბილისელები მართლაც ამშვენებდნენ სანკტ-პეტერბურგს და დაუვწყარი კვალიც დაამჩნიეს მსოფლიოს თეატრალურ ცენტრს, როგორც მას უწოდებდნენ.

სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორთან და სხვა მოღვაწეებთან შეხვედრისას ჩვენ მათ გავაცანით გიორგი ტოვსტონოგოვის ძეგლის მაკეტი.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები. უნდა მოგახსენოთ, რომ სანკტ-პეტერბურგში საკმაოდ მძლავრი ქართული სათვისტომოა, რომელმაც დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა.

გიორგი ტოვსტონოგოვის ძეგლზე ამჟამად ორი შესანიშნავი ხელოვანი მუშაობს: მოქანდაკე გია ჯაფარიძე და მხატვარი მურაბ მურვანიძე.

ამ პროექტმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ვფიქრობ, მთლიანობაში, საქართველო ღირსეულად იყო წარმოდგენილი ამ დიდ ზეიმზე, რაც არაერთგზის აღნიშნეს კიდეც მასპინძლებმა.

აღსანიშნავია, რომ სანკტ-პეტერბურგის იუბილესთვის მთელი რუსეთი რამდენიმე თვის განმავლობაში ემზადებოდა. აღადგინეს უნიკალური მუზეუმები, დარბაზები, მათ შორის ქარვის უნიკალური დარბაზი, პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის ძალისხმევით აგებული სასახლეები და სხვა მრავალი.

ამასთანავე, სანკტ-პეტერბურგი საქართველოსთვისაც ძალზე ძვირფასია. იგი ერთ-ერთი ხიდია, რომელიც გვაკავშირებს მეშობელ, ისტორიულად მეგობარ ქვეყანასთან.

ყველაფერთან ერთად, სანკტ-პეტერბურგის 300 წლის იუბილე შესანიშნავი ნიშვნა იყო ჩვენთვის, თუ როგორ უნდა მოვემზადოთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლის იუბილესათვის, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი წლის შემოდგომაზე გაიმართება.

რა თქმა უნდა, ასეთ მასშტაბს ჩვენ ვერ შევწვდებით, მაგრამ ის, რაც ჩაფიქრებულია, არანაკლებ შთამბეჭდავი იქნება ჩვენი ხალხისათვის.

— საქმეში ღონისძიებათა გარდა, სანკტ-პეტერბურგში გაიმართა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამიგი. იყო რამდენიმე სხვა შეხვედრაც მსოფლიოს ლიდერებთან, მათ შორის პრეზიდენტ ბუშთან. როგორია თქვენი მოსაზრებანი?

— მიუხედავად იმისა, რომ ამ საზეიმო ღონისძიებას თავისთავად დიდი კულტურული დატვირთვა ჰქონდა, სანკტ-პეტერბურგის სამიგი მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენადაც იქცა.

მრავალი შეხვედრისას ვისაუბრეთ საქართველოსათვის საჭირბოროტო საკითხებზეც.

უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფ საუბარს რუსეთის პრეზიდენტთან, რომლის ძირითადი თემა გახლდათ სოჭის შეთანხმებათა შესრულება. კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ყოვლად აუცილებელია, მაგრამ იგი უნდა განხორციელდეს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესთა პარალელურად ანუ სინქრონულად, როგორც თავად პრეზიდენტმა პუტინმა ბრძანა. ეს გამონათქვამი — „სინქრონული“, ანუ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ლტოლვილთა დაბრუნების პარალელურად, სწორედ მისი სიტყვებია.

უკვე შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, გრძელდება ლტოლვილთა სიების დამუშავება. იგულისხმება, აგრეთვე, კონკრეტული პირობები, დაბრუნების ტექნოლოგია და, განსაკუთრებით, უსაფრთხოების საკითხები.

აქვე დავძენ, რომ უსაფრთხოების გარანტიების შესაქმნელად, სამშვიდობო ძალები და მისი სარდლობა სერიოზულად მუშაობს ჩვენს წარმომადგენლებთან.

შევთანხმდით, რომ ამ პროცესში სირთულეთა წარმოშობისთანავე ტელეფონით დავუკავშირდებით ერთმანეთს და მივიღებთ კიდეც სათანადო ზომებს.

აგრეთვე, ძალზე სასარგებლო იყო საუბარი ყაზახეთის პრეზიდენტთან ნაზარბაევთან, უზბეკეთის, სომხეთის პრეზიდენტებთან და სხვა კოლეგებთან.

საგულისხმო იყო ხანმოკლე, მაგრამ ძალზე საინტერესო შეხვედრა ჩინეთის ახალ ლიდერთან. როდესაც მას შევთავაზე კავკასიაში ვიზიტი, განაცხადა, რომ კავკასია საინტერესო მხარეა და არ გამოვრიცხავ ამ რეგიონში ვიზიტსო.

ძირითადად ამ შეხვედრების დროსაც კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის აუცილებლობაზე ვსაუბრობდით.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მეთაურთა სამიგზე განვიხილეთ ეკონომიკური პრობლემაგიკა და დავადასტურეთ აღრანდელი შეთანხმება, რომ სექტემბერში, იალტის შეხვედრისას, მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას თავიისუფალი სავაჭრო ზონის დაფუძნების თაობაზე. საქართველოსათვის მის მნიშვნელობაზე არაერთგზის მისაუბრია. როგორც იცით, ამ პროექტის ავტორი უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა გახლავთ. მისი პირველი ვარიანტი ჯერ კიდევ კიევში განვიხილეთ.

ჩვენ გაგვაცნეს, აგრეთვე, „ოთხეულის“ ეკონომიკური ინტეგრაციის კონცეფცია — რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და ყაზახეთის მონაწილეობით.

თავისთავად საინტერესო ინიციაგივაა, მაგრამ სანამ „ოთხეულთან“ საქართველოს თანამშრომლობის ფორმებზე ვიმსჯელებდეთ, გულდასმით უნდა შევისწავლოთ ამ გაერთიანების სარგებლიანობა.

გარდა ამისა, ნებისმიერი ინტეგრაცია, ჩვენი თვალთახედვით, ხელს უნდა უწყობდეს სალერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან და ევროპულ ორგანიზაციებთან, მათ შორის ევროკავშირთან დაახლოებას. თუმცა ყველა ქვეყანას, რა თქმა უნდა, აქვს უფლება, ნებისმიერ გაერთიანებას შეუერთდეს.

კონფლიქტების თემას შევეხეთ პრეზიდენტ კუჩმასთან საუბრისას. როგორც მოგეხსენებათ, უკრაინა ამჟამად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თავმჯდომარეა. იგი მშად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტის მშვიდობიან და სამართლიან გადაწყვეტაში. უკრაინას აქვს საკუთარი ინტერესებიც.

იმავე საკითხზე ვესაუბრე ბრიგანეთის პრემიერ-მინისტრს გონი ბლერს და ვთხოვე მას კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის პრობლემის გადაჭრაში. ისინი ბოლო დროს ბევრს აკეთებენ ამ თვალსაზრისით, მაგრამ მოსალოდნელია მათი გაცილებით მეტი გააქტიურება.

განსაკუთრებით გულთბილი და მეგობრული გახლდათ პრეზიდენტ ბუშთან შესვედრა, რომელიც მისი ინიციაგივით გაიმართა.

ეს არ იყო ხანგრძლივი საუბარი, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩეოდა და მთავარი თემა ისევ და ისევ საქართველოს მხარდაჭერა გახლდათ.

ყველა შეხვედრის ჩამოთვლა და მათზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

— დაეუბნეთ სამშინაო პრობლემებს. არჩევნები სულ უფრო ახლოვდება, დაძაბულობაც მაგულობს. იგეგმება ქუჩაში გამოსვლები, პარლამენტი ვერა და ვერ ახერხებს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით კომპრომისის მიღწევას. როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას?

— ჩემი აზრით, მოსამზადებელი სამუშაოები ნორმალურად მიმდინარეობს. დასრულდა ამომრჩეველთა სიების შედგენა, რომელიც ყველაზე შრომატევადი და რთული სამუშაოა და რომელსაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ამ პროცესში ჩაბმული იყვნენ ჩვენი უცხოელი მეგობრები და მათი დასკვნის თანახმად, ეს მაღალ დონეზე განხორციელდა. თუმცა სექტემბრამდე ეს მუშაობა კიდევ გაგრძელდება და შესაძლებელია გარკვეული ცვლილებებიც.

უნდა მოგახსენოთ, რომ სანკტ-პეტერბურგში შეხვედრებისას, მათ შორის პრეზიდენტ ბუშთან, პრემიერ ბლეერთან და სხვებთან, ჩემი ინიციაგივით, მნიშვნელოვანი დრო ეთმობოდა სწორედ საარჩევნო თემაგიკას.

ჩვენი მეგობრები ერთმანეთს ფულად გვეთანხმებიან, რომ ნოემბერში საქართველომ უნდა დაადასტუროს თავისი დემოკრაგიული არჩევანის შეუქცევადობა.

და იმასაც ამბობენ, რომ ნოემბრის პარლამენტის არჩევნების სამაგალითოდ გამართვა თვით საქართველოს ინტერესებს შეესაბამება და მაპაგიეთ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ იგი პრეზიდენტ შევარდნაძის დემოკრაგიული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის და საერთაშორისო აგტორიტეტის დადასტურებად იქეცეა.

ისევე როგორც პრეზიდენტის არჩევნები და 2005 წელს ხელისუფლების დემოკრაგიული ცვლა — პირველად საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

როგორც მოგეხსენებათ, მომავალ პრეზიდენტის არჩევნებში მე მონაწილეობას არ ვაპირებ (და ამას კონსტიტუციაც ითვალისწინებს), ამდენად, ყველაზე მეტად სწორედ მე ვარ დაინტერესებული, რომ ნოემბრის პარლამენტისა და 2005 წლის პრეზიდენტის არჩევნებმა განამტკიცონ ქართული დემოკრატია, რომლის შექმნას მეც და მთელმა ჩვენმა ხალხმა ამდენი შრომა შევალიეთ.

ამიგომ შევთავაზე პარლამენტს, შევიმუშაოთ და მივიღოთ კანონი არჩევნების გაყალბებისა და მოსახლეობის ნებისმიერი ფორმით მოსყიდვისათვის უმკაცრესი სასჯელის დაწესების თაობაზე.

ალბათ, უნდა დასახელდეს ის საერთაშორისო ორგანიზაციაც, რომელიც საქართველოში აფინანსებს ანგარიანელისუფლეთ ძალებს. დიდად სამწუხაროა, რომ ამგვარი ორგანიზაცია არსებობს და თუ ამჯერად მისი დასახელებისაგან თავს ვიკავებ, მხოლოდ იმიგომ, რომ მას საქართველოში ბევრი სასიკეთო საქმეც აქვს გაკეთებული, კერძოდ, მეცნიერების დაფინანსება და სხვა. მაგრამ, არ ვარგა, როდესაც იგი პოლიგიკაში ერევა.

სამწუხაროდ, ამ წინადადებას საპარლამენგო ოპოზიციის მხრიდან ადეკვაგური რეაქცია არ მოპყოლია, ალბათ, მოჩვევები.

ეს კიდევ უფრო მიმგკიცებს აბრს, რომ იმას, ვინც ყველაზე მეგს ხმაურობს ხელისუფლების მიერ არჩევნების ცაბალო ფალსიფიკაციებზე, სინამდვილეში თავად ეშინია მოსახლეობის თავისუფალი არჩევანისა.

თითქმის შეთანხმებულია ძირითადი საარჩევნო შესწორებები. სამწუხაროდ, რთულად წყდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირების პრობლემა. ჩემი პოზიცია ასეთია: ცენტრალური საარჩევნო კომისია მაინც შეზღუდულია და ამიგომ, რამდენადაც შესაძლებელია, მასში წარმოდგენილი უნდა იყოს ჩვენი საზოგადოების ფართო სპექტრი: ცალკეულ პოლიგიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენლები, ასევე, ეფიერობ, ფრაქციათა წარმომადგენლები პარლამენტიდან.

ამ საკითხებზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. როგორც ვიცი, ამ დილით შეიკრიბნენ და პარლამენტში ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობს.

წუხელ შევხვედი ერთ ჯგუფს, და, თუ საჭირო იქნება, შემდგომშიც შევხვდები. რაც შეეხება მუქარას ხალხის ქუჩაში გამოყვანის შესახებ, მე არ მეპარება ეჭვი ჩემი ხალხის გონიერებაში. მას მკაფიოდ ახსოვს, რა მოუგანა ქვეყანას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხთა ქუჩის მიგინგებზე გადაწყვეტის პრაქგიკამ. ეს ძვირად დაუჯდა საქართველოს და არა მგონია, რომ ამის რეციდივი საჭირო იყოს.

ამასთან ერთად, როდესაც ვსაუბრობთ საარჩევნო კომისიაზე და სხვა სტრუქტურებზე, ვგულისხმობ, რომ თუ შესაძლებელია, სრულად გავითვალისწინოთ ევროსაბჭოს რეკომენდაციები. ისინი ჩემთვის ცნობილია და შეუსრულებადი თითქმის არაფერია.

დაბოლოს, ისევ საგანგებო მდგომარეობაზე: რაკი ჩემმა ოპონენტებმა ვერავინ დაარწმუნეს იმაში, რომ ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობის შემოღებას აპირებს (ამ მღაპრისა არავის სჯერა), უკვე თავად ცდილობენ „მართვადი ქაოსის“ მექანიზმის ამოქმედებას. ცდილობენ და კიდევ შეეცდებიან, მაგრამ მე მაინც მოსახლეობის გონიერების იმედი მაქვს.

— თქვენ მიიჩნევთ, რომ ისინი ამით აიძულებენ ხელისუფლებას გადადგას საპასუხო ნაბიჯები?

— ალბათ, ასეთი ანგარიში აქვთ. თუ ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობას შემოიღებს, მაშინ ვერ გაიმართება არჩევნები. მაგრამ, ერთი რამ ავიღოთ: პრეზიდენტს საგანგებო მდგომარეობის შემოღება მხოლოდ ორი დღით შეუძლია, სხვა შემთხვევაში, საჭიროა პარლამენტის თანხმობა. საგანგებო მდგომარეობა სწორედ პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს. ამიგომ, ცოტა არ იყოს, გაოცებული ვარ, იმდენად გულუბრყვილოა მსჯელობა საგანგებო მდგომარეობის შესახებ.

— კიდევ ერთი თემა: გუშინ 1 ივნისს აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. რამდენად არის დაცული ბავშვთა უფლებები საქართველოში?

— უპირველეს ყოვლისა, ჩვენს პაგარებს ვუსურვებ მშვიდობას. მშვიდობა მათი ბრწყინა და ბედნიერების უმთავრესი პირობაა. მშვიდობა მოგვცემს საშუალებას დავასრულოთ მათთვის, ანუ მომავალი თაობისათვის ახალი საქართველოს, დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის მშენებლობა.

ამ დღეს ბავშვებმა ბევრი საჩუქარი მიიღეს: მრავალი სახელმძღვანელო, სპორტული ნაგებობანი, საკოსეტრგო დარბაზები და სხვა.

ვუსურვებ ბედნიერებასა და სიხარულს — ახალ, თავისუფალ და ძლიერ საქართველოში, რომელსაც საფუძველი უკვე ჩავუყარეთ.

— თქვენი ნებართვით, კვლავ პეტერბურგის სამიგს დავუბრუნდეთ. დიდი აკიოგაკი გამოიწვია ინფორმაციამ, თითქოს საქართველოს ხელისუფლებამ ათი წლით გაუგრძელა ვადა აფხაზეთში მყოფ რუსეთის სამშვიდობო ძალებს. როგორია თქვენი კომენტარი?

— არ მინდა მწვავე სიტყვები გამოვიყენო ამ აგორებულ ამბავთან დაკავშირებით. ჩვენ ხომ ტყვილ-მართლის აგორების სპეციალისტები ვართ. ჩაეთვალოთ, რომ ეს ყოველივე გაუგებრობა იყო.

სანკტ-პეტერბურგის სამიგზე აფხაზეთის თემაზე ვადაწყვეტილება არ მიგვიღია. სხვათა შორის, რუსეთის წარმომადგენლებმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა და მისმა მოადგილემ ეს დაადასტურეს.

სახელმწიფოს მეთაურებმა მოვისმინეთ აღმასრულებელი მდივნის ინფორმაცია სოჭის შეხვედრის თაობაზე. ითქვა ისიც, რომ შეთანხმებათა რეალიზაციისათვის მუშაობა გრძელდება, შექმნილია სამუშაო ჯგუფები, მიმდინარეობს კონსულტაციები ლტოლვილთა დაბრუნების და რკინიგზის აღდგენის სინქრონიზაციაზე და ასე შემდეგ.

ჩვენ ასე მოვილაპარაკეთ, რომ პრესკონფერენციაზე ყველანი არ წავიდოდით. ეს უფლება მივანიჭეთ მხოლოდ ლეონიდ კუჩმას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დღევანდელ თავმჯდომარეს.

პრეზიდენტ კუჩმას მის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე აფხაზეთში სამშვიდობო ძალთა სტატუსზე არაფერი უთქვამს. ეს გასაგებიცაა, რადგან საკითხი არ განხილულა და გადაწყვეტილებაც არ არსებობს.

— მან ეს ინტერვიუში თქვა...

— არ ვიცი, რა და რაგომ თქვა. შესაძლოა, თვითონ ან ვერ დაიმახსოვრა ან ვერ გაიგო.

— პრესკონფერენციაზე მან ისაუბრა სწორედ იმ საკითხზე, რომლის შესახებაც თქვენ ბრძანეთ: დეპორტირებულ პირებთან დაკავშირებული 1992 წლის ხელშეკრულების გაგრძელებაზე.

— მე კვლავ გავიმეორებ: მოხდა გაუგებრობა და ორი სხვადასხვა საკითხის აღრევა: კუჩმა საუბრობდა ათწლიან ვადაზე. ამ თემამ სამიგზე გაიჟღერა სულ სხვა კონვენციასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს საერთოდ არ ეხება, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა მისი წევრი არ არის.

გარდა ამისა, როგორ შეიძლებოდა საქართველოს პრეზიდენგს ასეთი გადაწყვეტილება მიეღო, როდესაც სოჭში შეხვედრისას პრეზიდენტ პუტინთან, პრინციპში, შევთანხმდით, რომ სამშვიდობო ძალებს ვადა გაუგრძელდებათ მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნამდე. პრეზიდენტი პუტინი ამბობს, რომ როგორც კი მოითხოვთ, გავალთ აფხაზეთიდანო.

მაშასადამე, საკმარისია საქართველომ თუნდაც ხვალ დასვას მათი გაყვანის საკითხი და ისინი დაუყოვნებლივ დაგოვებენ კონფლიქტის ზონას. თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად მიზანშეწონილია ეს. თამაზ ნადარეიშვილი იმაში მართალია, რომ ამ საკითხზე ჩვენ ვიმსჯელეთ უმაშროების საბჭოზე და დავავალეთ ირაკლი მენაღარიშვილს ამ საკითხის დამაგებინები. მაგრამ, ერთი რამ ავიღოთ: პრეზიდენტს საგანგებო მდგომარეობის შემოღება მხოლოდ ორი დღით შეუძლია, სხვა შემთხვევაში, საჭიროა პარლამენტის თანხმობა. საგანგებო მდგომარეობა სწორედ პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს. ამიგომ, ცოტა არ იყოს, გაოცებული ვარ, იმდენად გულუბრყვილოა მსჯელობა საგანგებო მდგომარეობის შესახებ.

ამ შეთანხმების გათვალისწინებით, ათწლიანი ვადა ისეთივე უაზრობაა, როგორც თუნდაც ექვსთვიანი, რასაც ადრე ვაკეთებდით ხოლმე. მთავარი მიზანია, აფხაზეთის დაბრუნება და ლტოლვილთა საკითხის მოგვარება. ამას კი ვიდეი ვერაფერს შეელს.

რა აბრი აქვს ქრონოლოგიური ჩარჩოების დაწესებას, თუ უმთავრესი პირობა მაინც საქართველოს თანხმობა იქნება?! თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, მათი ვადა იხურება და ისინი მიდიან.

ყველამ დაიმახსოვროს, ჩვენი მიზანია, იყოს მშვიდობა ქვეყანაში, რადგან მშვიდობაა საქართველოს არსებობის უმთავრესი პირობა.

ახალი, ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომის შედეგად კი ეს ქვეყანა კიდევ ერთხელ და ამჯერად საბოლოოდ დაინგრევა, როგორც იგი დაანგრიეს ამ 10-15 წლის წინათ უპასუხისმგებლო და უმეცარმა პოლიგიკანებმა.

მწარე სიმართლეა, მაგრამ სიმართლეა, ყოველ შემთხვევაში დღეს, ამკამინდელი რესურსებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ არ არის შემთხვევითი, თუ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას (ამის შემოწმება ძალიან ადვილია, რადგან ყოველი მეორე პოლიგიკოსი საზოგადოებრივ აბრს სწავლობს) არ სურს ახალი ომი, სისხლისღვრა, ნგრევა, უბედურება, შვილებისა და შვილიშვილების ამოწყვეგა.

ხელისუფლება კი ვალდებულია მოსახლეობის აბრი და განწყობილება გათვალისწინოს და ქვეყნის ინტერესებით იხელმძღვანელოს.

სწორედ ამიგომ, ჩვენს პრიორიგეგად აფხაზეთის კონფლიქტის აუცილებელი, მაგრამ მშვიდობიანი გადაწყვეგა რჩება. არსებობს თამაზ ნადარეიშვილის განსხვავებული მოსაზრება, რომელსაც არ ვაკრიგიკებ, მას აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი აბრი. ამასთან დაკავშირებით, მას ჩემგან საყვედური არც ერთხელ არ მოუსმენია.

მშვიდობიანი გადაწყვეგისათვის რესურსები (ვგულისხმობ, როგორც საშინაო, ასევე საგარეო რესურსებს) ქვეყანას ნამდვილად აქვს. როგორც გითხარით, დიდი ბრიგანეთის პრემიერ-მინისგრი გონი ბლერი აფხაზეთით აღრე დიდად არ იყო დაინტერესებული. ახლა კი მან აფხაზეთის საკითხებში საგანგებო წარმომადგენელი დანიშნა.

იგივე შეეხება ამერიკის შეერთებულ შგატებს. მე ბაგონ ბუშს გავუგზავნე საკმაოდ ვრცელი წერილი, რომელიც ძირითადად აფხაზეთის პრობლემას შეეხებოდა. გავუშიარე ჩემი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ კონფლიქტის გადაწყვეგა. თედო ჯაფარიძე ამკამადაც ამერიკაში იმყოფება და, ალბათ, საინტერესო ამბებს ჩამოიგანს.

ასევე დაინტერესებული არიან ევროპის სხვა სახელმწიფოები, ჩვენი მეზობელი ქვეყნები და ასე შემდეგ.

უკვე საკმაო დრო გავიდა და უნდა ვიფიქროთ აფხაზეთთან მოლაპარაკებაზე და ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მშვიდობიანი თანაცხოვრების პრინციპებზე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

მაიკლ ჰაგი: „ქართველი და ამერიკელი ჯარისკაცები ერთად ძალიან კარგად მუშაობენ“

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს პრეზიდენტმა საგგასმით დაადასტურა ამ პროგრამის მნიშვნელობა საქართველოში ნაგოს სგანდარგების შესაბამისი შეიარაღებული ძალების მომზადების საქმეში. ამავე დროს, ყურადღება მიაპყრო ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობის სგრატეგიულ მნიშვნელობას თავად ამერიკის შეერთებული შგაგების ინტერესების გათვალისწინებით. „ჩვენი მთავარი მიზანია ძლიერი შეიარაღებული ძალების შექმნა და გვინდა, სასარგებლო ვიყოთ ჩვენი მეგობრებისთვისაც“, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა და აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ეს პროგრამა, თუნდაც შემცირებული მასშგაბით, მაგრამ მომავალში მაინც უნდა გაგრძელდეს.

ამერიკელმა გენერალმა სრულად გაიზიარა საქართველოს პრეზიდენგის მოსაზრებები და აღნიშნა, რომ ეს პროგრამა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შგაგებს შორის სგრატეგიული თანამშრომლობის შემადგენელი ელემენგია. „თქვენ სწრაფად დაიწყეთ და სწორი გზით მიდიხართ. ეს გემპი და შემართება არ უნდა მოდუნდეს“, — განაცხადა მაიკლ ჰაგმა და თავისი ქვეყნის მთავრობის სახელით მომავალშიც ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა აღუთქვა საქართველოს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ამერიკელმა გენერალმა „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამას მაღალი შეფასება მისცა

საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიგის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შგატების სასამღვრო ქვეითთა სარდალი, ოთხვარსკვლავიანი გენერალი მაიკლ ჰაგი საქართველოს პრეზიდენგთან ედუარდ შევარდნაძესთან ერთსაათიანი საუბრის შემდეგ შეხვდა ჟურნალისგებს. ბრიფინგზე ამერიკელმა გენერალმა განაცხადა, რომ ეს მისი პირველი ვიზიგია საქართველოში, რომლის მიზანია ქვეყნისა და მისი შეიარაღებული ძალების ახლოს გაცნობა. ვიზიგის ფარგლებში მაიკლ ჰაგმა მოინახულა ამერიკელი საზღვაო ქვეითები და ის ბაბები, სადაც „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა ხორციელდება. ამერიკელმა სგუმარმა მაღალი შეფასება მისცა საწვრთნელ ბაბებზე არსებულ სიგუაციას და აღნიშნა, რომ ქართველი და ამერიკელი ჯარისკაცების ერთობლივი მუშაობა ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. რაც შეეხება „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ვადის გაგრძელებას, ან ამერიკელთა მიერ ახალი პროგრამის განხორციელებას, ამ სამომავლო საკითხებზე კომენტარი მაიკლ ჰაგმა არ გააკეთა. „ეს ორი ქვეყნის მთავრობათა შორის მოლაპარაკების საკითხია და ვიმედოვნებ, რომ თავის დროზე ყველაფერი ურთიერთშეთანხმების გზით გადაწყდება“, — დასძინა სასაზღვრო ქვეითთა სარდალმა.

საქინფორმი.

ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ

ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეკრებილმა ხუთმა ოპოზიციურმა პარტიამ — „ახალმა მემარჯვენეებმა“, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, „გრადიციონალისტთა კავშირმა“, „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ და „სახალხომ“ დემოკრატიული არჩევნების ჩატარების საკორდინაციო საბჭო შექმნეს. საბჭოს მონაწილე პარტიების ლიდერთა განცხადებით, მისი შექმნა ერთ საარჩევნო ალიანსში გაერთიანებას არ ნიშნავს. საბჭოს მიზანია საპარლიამენტო არჩევნების ჩასატარებლად ერთობლივი კოორდინირებული მუშაობა.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡᲒᲐᲜ.

ᲬᲘᲜ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲐ!

გრიდი ივნისის „ცხელი დღეები“...

(პირველი გვერდიდან)

— ბატონო ედუარდ, ოპოზიცია 17 ივნისადან საერთო-სახალხო მდელვარებით გეგმავს, რომელიც მთელ საქართველოს მოიცავს. რა ნაბიჯს გადადგამს ხელისუფლება? ხომ არ იქნება ეს მშვენიერი საბაბი საგანგებო მდგომარეობის გამოსაცხადებლად, რომელიც თავის მხრივ არჩევნების გადადებას გამოიწვევს?

— გამორიცხულია. საქართველოს ხელისუფლება, რომელიც მიზნად ისახავს სგაბილურ ქვეყანაში დემოკრაგიული, მშვიდობიანი და სამართლიანი არჩევნების ჩაგარებას, პოლიგიკურ ზეწოლას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით და რეპრესიებით არ განახორციელებს; ის ამაზე არ წავა. ეს არც ხელისუფლების ხელწერაა და არც ჩვენი პრეზიდენგის იდეოლოგია, რომელმაც საქართველო, დღეს ყველაზე უფრო მიუახლოვა ევროგაერთიანების მთლიანობის აღდგენის პროცესს. ამას კი ერის სრული კონსოლიდაცია სჭირდება და არა განხეთქილება და დაპირისპირება.

— რა იარაღებით დათმობაზე წავა ხელისუფლება, თუ ოპოზიციამ მოიმუდაგა გაპაძიერა?

— მოცემულ ეგაპზე ხელისუფლება უკვე წავიდა მრავალ დათმობაზე და საარჩევნო კოდექსის სრულყოფაზეც. მან წამოაყენა წინადადება ყველა პოლიგიკური პარგიის ინტერესთა გაერთიანებისა მიმდინარე პროცესებში. თითქოსდა მეგი დათმობა აღარც შეიძლება, რადგან სხვა შემთხვევაში, წავა უმართავი პროცესები. თუმცა იმდენად დიდია პრეზიდენგის სურვილი, შეინარჩუნოს მშვიდობა და დაპირისპირება დააცხროს, რომ, არ გამოვრიცხავ, ხელისუფლება სხვა დათმობებზეც წავიდეს.

როგორც ჩანს, ხელისუფლება საკმაოდ მშვიდი და თავის თავში დარწმუნებულია. ამ ფონზე ოპოზიციური ძალები ცოტა დაბნეული, ცოტა აღელვებული, ჯერ კიდევ გაუერთიანებელი, მაგრამ „დიდი მიზნებით“ სავსე ჩანს. როგორი იქნება გრილი ივნისის „ცხელი დღეები“? ამას სულ მალე შევიგყობთ!

ᲔᲙᲐ ᲑᲣᲩᲣᲙᲣᲠᲘ.

MAGTI GSM

შპს „მაგთიკომი“ MAGTICOM Ltd

მხოლოდ მაგთიკომის აბონენტთათვის!

მაგთი GSM-ი გაძლევთ უნიკალურ შანსს, პირდაპირ ეთერში, აბსოლუტურად გამჭვირვალე ავტომატური გათამაშების სამშაულებით მოიგოთ 25.000 ლარი!

ამისათვის ყოველ პარასკევს, საქართველოს ტელევიზიის I არხზე რვასაათიანი „მოამბის“ გამომშვების შემდეგ, უყურეთ კომპანიის წამახალისებელ ლაგარიას — „მაგთიგრონს“!

25.000 ლარის მოსაგებად აუცილებელია დარეკოთ ნომერზე 5222, მოისმინოთ მაგთიკომის საინფორმაციო განცხადება და გახდეთ გათამაშების მონაწილე. მარის ღირებულება — 1 ლარი.

გათვალისწინეთ, რომ პრიზს იგებს მხოლოდ იმ მობილურის მფლობელი, რომლის აპარაგიდანაც შესაძლებელი იყო დარეკვა როგორც გათამაშებამდე ერთი კვირის განმავლობაში, ისე გათამაშების დღეს.

„მაგთიგრონში“ მოქმედებს ჯეკ-პოგის პრინციპი — იმ შემთხვევაში, თუ გათამაშებაში გამარჯვებული არ გამოვლინდა, საპრიზო თანხა დაემაგება შემდეგი კვირის საპრიზო ფონდს, გახდება 50.000 ლარი და ასე, გამარჯვებამდე!

გახსოვდეთ! ხუთშაბათს, ღამის 12 საათამდე 5222-ზე

ხელისუფლება და პრესა

საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, „მოსმენა“: ბატონო პრეზიდენტო, რადიოინტერვიუში ვრცლად ისაუბრეთ კონფლიქტის მონაში სამშვიდობოების საკითხზე. იქნებ კიდევ ერთხელ განგვიმარტოთ, კონკრეტულად რა გადაწყვეტილება მიიღეთ სანკტ-პეტერბურგის თანამეგობრობის არაფორმალურ სამიგზე, რა დოკუმენტს მოაწერეთ ხელი და არსებობს თუ არა რეალური საშიშროება, რომ სამშვიდობოებს მანდატის ვადა კონფლიქტის მონაში ათი წლით გაუგრძელდება? თქვენი კოფლაგარი, სანკტ-პეტერბურგში რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების – ვლადიმერ პუტინისა და ჯორჯ ბუშის შეხვედრის შესახებ...

– უკვე ვთქვი, არავითარ დოკუმენტზე ხელი არ მოგვწერია. ამ საკითხზე საჭიროა მუშაობის გაგრძელება. საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს თავისი ვარიანტი ჰქონდა წამოღებული სანკტ-პეტერბურგში, რომელშიც ასახულია, თუ რა პირობებში შეიძლება სამშვიდობოთათვის ვადის გაგრძელება. მიმაჩნია, რომ, საერთოდ, სმაური ამ საკითხთან დაკავშირებით, სრულიად უსაფუძვლოა. გავიხსენოთ თუნდაც სოჭის მოლაპარაკების შედეგი: იქ ითქვა, რომ როგორც კი ერთერთი მხარე დააყენებს საკითხს კონფლიქტის მონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ, ეს იქნება 6 თვის თუ 6 დღის შემდეგ, ყოველგვარი ვადების გარეშე ისინი დაგოვებენ კონფლიქტის მონას. არ არის ლაპარაკი ვადაზე, ახლა ლგოლვილების დაბრუნების პროცესზე ვმუშაობთ, სხვათა შორის, ამ სამუშაო პროცესში მონაწილეობენ რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელები. ჩემთან იყო სარდალი და მოვილაპარაკეთ, რომ დავიწყებთ სიების შედგენას, განვიხილავთ მათი დაბრუნების უსაფრთხოების გარანტიებს. ჩვენ სერიოზულად ვუდგებით ამ საკითხს. და არა იმ ეფექტის გათვალისწინებით, რომ სამშვიდობოები გავიყვანოთ და ვიღაცამ თქვას: „აი, ყოჩაღ, შეკარდნაძე, სამშვიდობოებმა დაგოვეს კონფლიქტის მონა. მერე რას ვშვრებით? რა იქნება? ვინ ჩაენაცვლება მათ? გაეროს უმაშროვის საბჭო თავის ფუნქციას ვერ ასრულებს. თქვენ კარგად იცით, რა მოჰყვა ერაყისა და სხვა საკითხების განხილვას.

ეფიქრობ, უთავბოლო განცხადებები, მით უფრო, რომ მათ სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვთ, არ უნდა გაკეთდეს. ეს არც ბატონ თამმან ნადარეიშვილს ეკადრება, არც იმ ხალხს, რომლებსაც ოპონენტებად მივიჩნევ. ბატონი დავით გამყრელიძე გრაგიკულ განცხადებას აკეთებს: „აფხაზეთი დაეკარგეთ, აფხაზეთი საბოლოოდ დაეკარგეთ, რა გვეშველება? “ მე მას არ ვემდური, დარეკოს და იკითხოს, გაარკვიოს სიმართლე. ეს იმდენად მწვავე თემაა, რომ ამ თემით თამამში არ შეიძლება. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა დაინგერესდა აფხაზეთის თემით. დიდი ბრიტანეთი საერთოდ არ ერეოდა აფხაზეთის საკითხში, ახლა კი პრემიერ-მინისტრმა გონი ბლერმა პირადი, სპეციალური წარმომადგენელიც კი დანიშნა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. ასევა განწყობილი ევროპის ბევრი სახელმწიფოს ხელმძღვანელი. აღარ ვლაპარაკობ ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ჯორჯ ბუშს გავუგზავნე საგანგებო წერილი და გავუშიარე ყველა ჩემი მოსაზრება: ამ თემაზე გვქონდა სანმოკლე საუბარი სანკტ-პეტერბურგში შეხვედრის დროს.

რაც შეეხება რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების შეხვედრას, ჩემთვის უცნობია, რა საკითხებზე ილაპარაკეს ვლადიმერ პუტინმა და ჯორჯ ბუშმა. რომ დავსწრებოდი ამ შეხვედრას, არ იქნებოდა ცუდი. მაგრამ არ მიმიწვიეს ამ შეხვედრაზე, თანაც სანკტ-პეტერბურგიდან ცოტა ადრე წამოვედი. მგონი, განსაკუთრებით საინტერესო იქნება ორი პრეზიდენტის შეხვედრა 8 დიდი სახელმწიფოს მეკრეხის ფარგლებში. იქ, როგორც ვიცი, ამერიკელებისაგან ნამდვილად მაქვს გარანტია, რომ ამ შეხვედრაზე აუცილებლად წამოჭრიან აფხაზეთის საკითხს. როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, მაგრამ აფხაზეთის თემა აუცილებლად იქნება განხილული.

ტელეკომპანია „რუსთავი –2“: თქვენი კომენტარი, ოპოზიციონერთა შეკრების თაობაზე, რომლებიც შეეთანხმებიან საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით საპროტესტო აქციის გეგმავენ. რადიოინტერვიუში ახსნეთ, რომ არსებობენ ძალები, რომლებიც აფინანსებენ ანგასახელმწიფოებრივ მოძრაობას. თქვენ არ დაპირქვეთო, თუ რომელ ორგანიზაციაზე ლაპარაკობდით, იქნებ, თუ ეს შესაძლებელია, დაკონკრეტდეთ ამ ორგანიზაციის ვინაობა.

– საარჩევნო კოდექსზე მუშაობა პარლამენტში უნდა მიმდინარეობდეს და მიმდინარეობს კიდეც. ზოგიერთი მოსაზრება მოვისმინე, ვთხოვე პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ მიიღოს ის ჯგუფი, რომელსაც აქვს საინტერესო მოსაზრებები. რადიოინტერვიუში ვთქვი, რომ საველდებულო არ არის, მაგრამ რამდენადაც დასაშვებია ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის, მასში რაც შეიძლება ფართო პოლიტიკური სპექტრი იყოს წარმოდგენილი. ასეთი სურვილიც კი გამოვთქვი, რომ თუ შესაძლებელია, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარლამენტის ყველა ფრაქცია იყოს წარმოდგენილი. პარლამენტში არიან ხელისუფლების მხარდამჭერი ფრაქციები და ჩვენი ოპონენტები. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ყველა რაღაც ფორმით უნდა მონაწილეობდეს. პრეზიდენტსაც უნდა ჰქონდეს კომისიაში წევრების დანიშვნის უფლება. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის წინა არჩევნების დროს მიღებული გვაქვს და ვფიქრობ, ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რაც ღღეს უკვე ითქვა საქართველოში.

ტელეკომპანია „ვე-9 არხი“: ბატონო პრეზიდენტო, ამ დღეებში საქართველოში ჩამოდის ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისია, რომელმაც უნდა შეიშუშაოს რეკომენდაციათა პაკეტი. ჩვენს ქვეყანაში კი საკმაოდ მძიმე ფონია: საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ქუჩის გამოსვლები, რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტები... მონიტორინგის მისია გამართავს მათთან შეხვედრებს. დაგეგმილია თუ არა საქართველოს პრეზიდენტისა და ევროპის საბჭოს ექსპერტთა შეხვედრა? რა დასკვნას გააკეთებ ბენ მონიტორინგის მისიის წევრები საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ფონზე?

– საქართველოსადმი ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ჩვენთვის უნდა იყოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის საფუძველი, მათ შორის საარჩევნო კომისიის ფორმირების თვალსაზრისითაც. არავითარი წინააღმდეგობა იმ რეკომენდაციებსა და ჩვენი მუშაობის პრაქტიკას შორის არ არსებობს. მომხრე ვარ, რომ საქართველომ სრულფასოვნად შეასრულოს ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია. რაც შეეხება მონიტორინგის მისიის ვიზიტს, ისინი ნახავენ, რომ ქუჩაში ვიღაც გამართავს აქციას. ამით კი ვერც ევროპას, ვერც ამერიკას ვერ ბაკვირვებ. მოგეხსენებათ, როცა ერაყში ომი დაიწყო, ამერიკამიც და ევროპამიც იმართებოდა ამასთან დაკავშირებით საპროტესტო აქციები. არ მახსოვს, რომ ევროპის საბჭოს ევროპის რომელიმე ქვეყანაში ქუჩის აქციების გამო საპროტესტო მოძრაობა დაეწყოს.

რაც შეეხება პრეზიდენტისა და ევროპის საბჭოს ექსპერტთა შეხვედრას, იგი, რა თქმა უნდა, გამართება.

ტელეკომპანია „იმედი“: დღეს, თქვენი რადიოინტერვიუს დაწყებამდე, სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ, „ნაციონალური მოძრაობის“ ეგიდით საპროტესტო აქცია გაიმართა. მიწისძვრის შედეგებით დაზარალებულები მოითხოვენ 4 მილიონი ლარის სასწრაფოდ გამოყოფას. სახელმწიფო მინისტრი უკვე შეხვდა აქციის მონაწილეებს. როგორ გადაწყდება ეს პრობლემა?

– დემონსტრაცია რომ ამ პრობლემებს შეეხოდეს, დემონსტრაციის შედეგად რომ შეიძლებოდეს საჭირო თანხის მოძიება, პირადად ჩავუდგები სათავეში აქციებს. მაგრამ ეს ფორმა პრობლემის მოსაგვარებლად მიუღებელია. რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, გაკეთდა კიდეც, დედაქალაქის მერიამ 300-ზე მეტი ბინა შეისყიდა. მიმდინარეობს დამატებითი სამუშაოები. დაზიანებულია სასწავლო დაწესებულებები. საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე, მსოფლიო ბანკმა 5 მილიონი ამერიკული დოლარი გამოყო სკოლებისა და ბაგა-ბაღების აღსადგენად. ამასთან, თურქეთში არსებობს სერიოზულ ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელთაც ეს მიმართულება აინტერესებთ. ისინი მზად არიან ამ სექტორში განახორციელონ ინვესტიცია და გარკვეული პროცენტი მიიღონ. აქციის მონაწილეები ქუჩაში გამოდიან და ყვირიან, ჩვენ კიდევ ვმუშაობთ, რომ დამარალებულებს რეალური დახმარება გავუწიოთ. პრეზიდენტის ფონდიდან მილიონი ლარია გამოყოფილი, კიდევ გამოვყოფთ 500 ათას ლარს, მეგი თანხა კი ფიზიკურად არ არსებობს, მაგრამ გამოვნახავთ სხვა საშუალებას.

არც ერთ დემონსტრანტზე ნაკლებად საქართველოს პრეზიდენტსაც ეფიქრება, დარეფუნებული ვარ. რაც უნდა ილაპარაკოს სეპარატისტთა ლიდერმა, მნიშვნელობა არა აქვს. არძინბას რუსეთის მიმართ პოზიციურ განცხადებებს იმიგომ აკეთებს, რომ ცოტა სული მოითქვას. რაგომ გიკვირთ, არძინბას როდის ულაპარაკია კარგი ქართველებზე. ჩვენ ჩვენი საკეთებელი უნდა ვაკეთოთ. პირადად არაერთხელ ჩამოვყალიბე, თუ რა გზით უნდა დავბრუნდეთ აფხაზეთში, სხვათა შორის, თქვენი შეკითხვა, თითქოსდა ამერიკის შეერთებულ შტატებს აღარ აინტერესებს აფხაზეთის საკითხი, სიმართლეს არ შეესაბამება. ჯორჯ ბუშს მე ვხვდები და ველაპარაკები, წერილებს მე ვწერ და მის წერილებსაც მე ვპასუხობ და საინტერესოა, ამ დროს თქვენ იგვიძო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აღარ არის დაინტერესებული აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტით. ეს ბატონ თამმან ნადარეიშვილის ნათქვამს ეყრდნობა, რომელმაც განაცხადა, რომ თითქოსდა შევარდნაძემ ხელი მოაწერა კონფლიქტის მონაში სამშვიდობო მანდატის 10 წლით გაგრძელებას. ცოტა უნდა გაეკვეთ საკითხში.

რუსეთის ტელეკომპანია „ნტვ“: ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ინიციატივით აფხაზეთის ომში მოშუშავე ჟურნალისტები ომის მონაწილეებთან გაიათანაბრეთ და ამის შედეგად ისინი დამატებითი შეღავათებით სარგებლობდნენ. წელიწადს ამბობენ, რომ ეს შეღავათები გაუქმდა, ხოლო ის, თუ რის საფუძველზე გაუქმდა, აღარ დასტურდება. მართალია თუ არა ეს ინფორმაცია?

– ეს საკითხი პარლამენტის გარეშე არ გადაწყდებოდა. შეიძლება ჩემს გარეშე მოხდა ამის განხილვა. ისე, პირადად, ყოველგვარი შეღავათის გაუქმების წინააღმდეგი ვარ. მით უფრო, არა მაქვს სურვილი ჟურნალისტებთან ურთიერთობა გავიფუჭო.

რუსეთის ტელეკომპანია „ნტვ“: ითვალისწინებთ თუ არა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ვიდაც საგანგებოდ ცდილობს ირანთან ურთიერთობის გაფუჭვებას იმ მიზნით, რომ ირანის ბაზარზე კონკურენციის ელემენტები აღმოიფხვრას. მით უფრო, რომ ჩვენ ყველას გვახსოვს – ქართველი სპეციალისტები მონაწილეობდნენ ირანში აგმოური პროექტის მშენებლობაში, ქართველი სამხედრო სპეციალისტები ეხმარებოდნენ ირანს საავიაციო მშენებლობაში. ბატონო პრეზიდენტო, გაითვალისწინებთ თუ არა ოფიციალური თეირანის მოწვევას და დაგეგმავთ თუ არა ვიზიტს ირანში?

– საქართველოს ირანთან აბსოლუტურად ნორმალური ურთიერთობა აქვს, არა მარტო დიპლომატიური, არამედ სავაჭრო-ეკონომიკურიც. ეს თანამშრომლობა ეტაპობრივად ფართოვდება.

რაც შეეხება ჩვენს მონაწილეობას აგმოურ პროექტში, ამგვარი ეჭვი, სიმართლე გითხრათ, პირადად გამიჩნდა. რადგანაც ირანში აღმოჩნდა რამდენიმე ქართველი სპეციალისტი, რომლებიც აღრე სოხუმის ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდნენ. ჩვენ სხვადასხვა არხებით გადავამოწმეთ ეს ინფორმაცია, მაგრამ ეს არ დადასტურდა. რამდენიმე ქართველი სპეციალისტი მართლაც იმყოფებოდა ირანში, მაგრამ მათ არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ბირთვული იარაღის წარმოების საქმესთან. არა მარტო ჩვენ, არამედ სხვა დაინტერესებულმა ქვეყნებმაც გადაამოწმეს ეს ინფორმაცია და გაირკვა, რომ უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას არც ერთხელ საქართველოს წინაშე არ დაუსვამს ეს საკითხი. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ამ ფაქტს უარყოფს ამერიკაიანი მთავრობაც. სხვათა შორის, ირანელებიც ადასტურებენ, რომ არც საქართველოს და არც ამერიკიანის მხრიდან ვერანაირ სამიმროებას ვერ ხედავენ.

ბაბეთი „მენორა“: ბატონო პრეზიდენტო, 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ისრაელთან. როგორ შეაფასებდა საქართველოს პრეზიდენტი ორი ქვეყნის ურთიერთობას?

– ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან გვეწვია „ჯოინთის“ ცენტრის წარმომადგენლობითი დელეგაცია. მაშინ გამართულ შეხვედრებზე აღვნიშნე, რომ 26 საუკუნეა ქართველები და ებრაელები ერთად ვცხოვრობთ საქართველოში, ამ 26 საუკუნის განმავლობაში უკმაყოფილების არც ერთი ფაქტი არ არის დადასტურებული, მით უფრო, კონფლიქტური სიტუაციის. ეს გრძდიცია ახლა გრძელდება არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოსა და ისრაელს შორის ურთიერთობის საკითხებში. ორმა ქვეყანამ ძალიან ბევრს მიაღწია, შექმნილია აბსოლუტური ნდობის აგმოსფერო. ჩვენთან ჩამოდიან ისრაელის ხელმძღვანელები, გახსოვთ, აქ იმყოფებოდნენ პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ისე როგორც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად იმყოფებიან ისრაელში. მიმაჩნია, რომ ჩვენი სტრატეგიული, მეგობლური ურთიერთობა, ჩვენი ინტერესები აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს. მართლაც კმაყოფილი ვარ, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა სწრაფი ტემპით ვითარდება.

ტელეკომპანია „ბმე“, პროგრამა „ბმერა“: ბატონო პრეზიდენტო, ამ დღეებში საქართველოს ანგეკორუფციულ საბჭოში გამმართება წილისყრა, რის შედეგადაც საბჭოს მუშაობას უნდა გამოეთიშოს მისი 6 წევრი, რომელიც, ასე ვთქვათ, „შავ მანდატს“ ამოიღებს, ეკადეთ თუ არა შერჩეული ის 6 ახალი კანდიდატი, რომლითაც შეავსებენ საბჭო? თქვენი კომენტარი ანგეკორუფციული საბჭოს იმ ოპოზიციონერი წევრების განცხადების თაობაზე, თითქოსდა საქართველოს პრეზიდენტი შეეწინააღმეგმოდა საბჭოს მუშაობას...

– ენახ ძვალი არა აქვს, ყველაფერი წამოიღეთ. როგორ შეიძლება ვაფუძნებდე საბჭოს მუშაობას, როცა სისხლხორცეულად დაინტერესებული ვარ მისი გამართული მუშაობით. თუ ვინმეს ეკონა, რომ კორუფციაზე მარგო იმიგომ ვლაპარაკობთ, რომ ვილაპარაკოთ, ძალიანაც ცდება. დამისახელეთ მეორე ქვეყანა, სადაც პრეზიდენტთან ანგეკორუფციული საბჭო შეიქმნა? გარკვეული დრო იყო იმისათვის საჭირო, რომ ექსპერტები შეერჩიათ, შემდეგ იყო ოფისის პრობლემა, დაგვეხმარნენ ამერიკელი მეგობრები, ეს პრობლემები მოგვარდა. ზოგიერთი პირველი რიგის სამუშაოები, რომლითაც საბჭომ უნდა დაიწყოს მუშაობა, ჩემთან შეთანხმებულია. ზოგიერთ საკითხებს საბჭოს წევრები თავად წყვეტენ. ვფიქრობ, ამ მხრივ ძალიან საინტერესო ექსპერიმენტი მიმდინარეობს საქართველოში. პრეზიდენტთან არსებული ანგეკორუფციული საბჭოს მუშაობა ერთ-ორ წელიწადში გამოიდილების გამიჩენის საგანი გახდება.

„ბმერა“: 11 ივნისს გამმართება ფუძეურთოს მაგნი საქართველოსა და ირლანდიის ნაკრებებს შორის. თქვენი პროგნოზი?

– პოლიგიკას რომ უკავშირდებოდეს ეს თემა, აუცილებლად ვილაპარაკეთ, მაგრამ ფუძეურთში პროგნოზის გაკეთება საჩრისკო საქმეა.

რუსეთის ტელეკომპანია „რტრ“: ბატონო პრეზიდენტო, თუ შეიძლება მცირე პოლიტიკური პროგნოზი... ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ბოლო დროს, რომ მაინც შესაძლებელია ჩამოიქმნას კონფლიქტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის. თქვენი აზრით, რამდენად რეალური ეს ვარიანტი და ამ შემთხვევაში საქართველო შეინარჩუნებს თუ არა თავის პრო-ამერიკულ პოზიციას?

– მიმაჩნია, რომ ამგვარი კონფლიქტი დაუშვებელია. ირანი არ არის ერაყი, ეს არის დიდი სახელმწიფო, აქვს დიდი სამხედრო პოტენციალი. ვფიქრობ, ის, რაც მოხდა ერაყთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებული შტატები შეეცდება არ გაიმეოროს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისას. მიაქციეთ თუ არა ყურადღება ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით, ამერიკა როგორი გაწონასწორებული გამონათქვამებით მემოიფარგლა. ამერიკელებმა განაცხადეს, რომ მათ სჯერათ, ჩრდილოეთ კორეა უარს იტყვის ბირთვული იარაღის წარმოებაზე, რაც ეწინააღმდეგება მსოფლიოსა და, მათ შორის, რუსეთის ინტერესებს. მიმაჩნია, რომ მოვლენები ამგვარად დაბალანსებული პოლიგიკით გაგრძელდება.

საქინფორმი.

დეტალი

ათი წლით ვადის გაგრძელებაზე არავითარი საუბარი არ ეოფილა

პირველი გვერდიდან

ოქროს ფასი დუმილს აქვს.

თუ ამ ფორმულას ვენდობით, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ფრიად გაიაფებული იყო ვითარება, რომელიც იქ დომინირებდა და ამის მიზეზი იყო საჯაროობა – სრული და შეუზღუდავი.

თანაც – კეთილგანწყობილება და ყურადღება ჟურნალისტების მიმართ, რომელიც, მაგალითად, ერთ კონკრეტულ სიტუაციაში ამ სტრიქონების ავტორმა საკუთარ თავზე იგრძნო, რისთვისაც იგი დიდად მადლობელია პეტერბურგელი მასპინძლების: პრესკონფერენციის ორგანიზაორებმა როგორც კი შეამჩნიეს ჩემი ინვალიდის ყავარჯენი, – მემეიდე გემბანზე რა აგიყვანსო, და დიდი პაგიეთი, დაცვის ერთი ოფიცრის და მომსახურე პერსონალის თანხლებით იმ ლიფტით ამიყვანეს, რომლითაც მხოლოდ პრეზიდენტები სარგებლობდნენ.

ხალიფა რამდენიმე წამით!

უცებ კი ავედი, აქლემინებულმა, აპარატურაკიდებულმა და უამისოდაც ქანცგამოცლილმა კოლეგებმაც ამოაღწიეს, მაგრამ პრესკონფერენციის დაწყება მაინც დაგვიანდა.

დაგვიანება საიუბილეო ღონისძიებების თანმდევი ნიშანი გახდა.

მაგრამ ამას ყველა ეგუებოდა, რადგან მსოფლიოში არ არსებობს მაორგანიზებელი ძალა, რომელიც 45 ქვეყნის პრეზიდენტებსა და მთავრობათა მეთაურებს დროის შუნგ ჩარჩოებში მოუყრიდა თავს...

დაგვიანდა-მეთქი პრესკონფერენციის დაწყება.

ამასობაში გვიცხადებენ, რომ სწორედ ზემოთ დასახელებული საერთო მიზეზის გამო და, კონკრეტულად, იმიგომ, რომ დსთ ქვეყნების მეთაურთა შეკრება ვერ ჩაეგია მისთვის განკუთვნილ დროში, პრესკონფერენცია შემოიფარგლება მხოლოდ პრეზიდენტების განცხადებებით.

შეკითხვებს ნუ დაუსვამთო.

მასპინძლის სურვილი კანონია.

ეუცდით.

და სრულიად მოულოდნელად, რაღაცანაირად შეუმჩნევლად კულისებიდან შემოდის ლეონიდ კუჩმა მსოლობი რიცხვში.

შემოდის, ჯდება თავმჯდომარის სკამზე და განდობილად გვეუბნება, რომ პრესკონფერენციაზე მისი გამოგზავნა შედეგია „დემოკრატიისა მოქმედებაში“: პრეზიდენტებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ თქვენს წინამე მე გამოგესულიყავიო.

ჟურნალისტები გაგებით ხვდებიან ამ ნახევრად ხუმრობით წარმოთქმულ მესავლს და გაშს უკრავენ.

ნახევარი ხუმრობაც კი არ ვარგა, ამიგომ ვცდილობ ავიგაცო ეს მსუბუქი მუხგი და ხმამაღლა ვაცხადებ:

– ეს დემოკრატია კი არ არის, თქვენი ექსპლუატაციის ფორმაა.

ჯობდა ჩუმად ვყოფილიყავი, რადგან არავინ ამყვა. ვეჭვობ, კუჩმას მისწედა ჩემი ხმა.

უკრაინის პრეზიდენტმა ჩამოთვალა ის საკითხები, რომლებზეც იმსჯელებს და მათ შორის მთავარს გასცემ ხაზი, კერძოდ, დსთ-ში თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნას, რომელიც, როგორც მან განაცხადა, საბოლოოდ გადაწყდება სექტემბერში იალტის სამიგზე.

ორიოდ წუთში ჩაეგია პრეზიდენტი და იკითხა, შეკითხვები თუ გაქვთოო.

პაუზა.

შემდეგ დარბაზიდან ვიღაცა „მიაწვდის ინფორმაციას“:

– შეკითხვების მიცემა აგვიკრძალეს.

– რახან აგიკრძალეს, ამით დავამთავროთ, – მსუბუქად ხუმრობს კუჩმა.

წამოდგება და წასასვლელად გაემზადება.

ამ დროს ჩემს გვერდით მყოფი ჟურნალისტი ქალი, ბი-ბი-სის უკრაინის ბიუროს კორესპონდენტი ნაგალია სკოფენკო წამოიძახებს:

– აფხაზეთის კონფლიქტი და სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელება: რა გადაწყვეტეთ?

– ჩვენ ამ თემაზე ვილაპარაკეთ.

ვილაპარაკეთო, ვიმსჯელეთო, – სხვა არაფერი! არავითარი გადაწყვეტილების მიღება, მით უფრო სამშვიდობოებისთვის 10 წლით ვადის გაგრძელებაზე არაფერი უთქვამს.

არ თქვა კი იმიგომ, რომ მართლა არ მიუღიათ ამის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება, ვერც მიიღებდნენ, ვერც ამ და ვერც ვერავითარ სხვა დოკუმენტს, რადგან ეს იყო (თომმა, დამიგდე ყური!) – არაფორმალური მუხეეერა პრეზიდენტების და არა პრეზიდენგთა საბჭოს სხდომა, რომელიც ამ უფლებით აღჭურვილი ერთადერთი და უმაღლესი საფუხერია თანამეგობრობის მთელ სტრუქტურაში.

მაგრამ თომმას აკეიაგებული ურმ‍ენობით აქვს სასმენელნი დაცული, რომელნიც მაშინ განიხვნება, როცა მისთვის სასურველ და ზომგებიან წინადადებას წარმოთქვამს ვინმე, მაგალითად, ნევაზე მონანაივე კაგარღისკენ აჩქარებით მიმავალი კაცი, რომელსაც ვინმე (თუნდაც, კამერიანი ჟურნალისგი) შეკითხვით გამოეკიდება და მას, საკუთარი პრობლემებით დამძიმებულს, თავისი საგკეიარი შენსამი აერევა და იმის შესახებ გიპასუხებს, რაც მის ქვეყანას აწუხებს.

კონკრეგულად რაზეა საუბარი, იხილე ჩვენი გაზეთის 2 ივნისის ნომერში.

თომას ასეთი ნიუანსები არ აინტერესებს და ამიგომ – შენ დაუკა! – აზუმუნებს ზურნას საამისოდ შედგამოჭრილი ლოყების გაბუშგვით.

* * *

ბუშინ ჩვენს გაზეთში გამოგვიქვეყნე წერილი „ჯორჯ ბუში: „ხომ იციო, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საქართველოს!“ – საქართველოსა და აშშ პრეზიდენტების შეხვედრის შესახებ.

გუშინვე სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსის შოადგილემ ნათია ფორჩხიძემ დამიდასტურა, რომ ჯორჯ ბუშის და ედუარდ შევარდნაძის საუბარი პეტერგოფში შუნგაი და ასევე არის გადმოცემული „საქართველოს რესპუბლიკის“ ორშაბათის ნომერში. ნათია ფორჩხიძე ამ საუბარს თარგმნიდა.

ეს – ცნობისათვის.

ბრმაზ სანებლიძე.

„თუ ვინმე აპირებს, რომ პარლამენტზე ზემოქმედება ქუჩიდან მოახდინოს, ეს დრო საქართველომ უკვე გაიარა“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პრესკონფერენცია 2003 წლის 2 ივნისი

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პრესკონფერენციის ტექსტი

„ბატონ ბენ მონიტორინგის მისიის წევრები საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ფონზე?

– საქართველოსადმი ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ჩვენთვის უნდა იყოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის საფუძველი, მათ შორის საარჩევნო კომისიის ფორმირების თვალსაზრისითაც. არავითარი წინააღმდეგობა იმ რეკომენდაციებსა და ჩვენი მუშაობის პრაქტიკას შორის არ არსებობს. მომხრე ვარ, რომ საქართველომ სრულფასოვნად შეასრულოს ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია. რაც შეეხება მონიტორინგის მისიის ვიზიტს, ისინი ნახავენ, რომ ქუჩაში ვიღაც გამართავს აქციას. ამით კი ვერც ევროპას, ვერც ამერიკას ვერ ბაკვირვებ. მოგეხსენებათ, როცა ერაყში ომი დაიწყო, ამერიკამიც და ევროპამიც იმართებოდა ამასთან დაკავშირებით საპროტესტო აქციები. არ მახსოვს, რომ ევროპის საბჭოს ევროპის რომელიმე ქვეყანაში ქუჩის აქციების გამო საპროტესტო მოძრაობა დაეწყოს.

რაც შეეხება პრეზიდენტისა და ევროპის საბჭოს ექსპერტთა შეხვედრას, იგი, რა თქმა უნდა, გამართება.

ტელეკომპანია „იმედი“: დღეს, თქვენი რადიოინტერვიუს დაწყებამდე, სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ, „ნაციონალური მოძრაობის“ ეგიდით საპროტესტო აქცია გაიმართა. მიწისძვრის შედეგებით დაზარალებულები მოითხოვენ 4 მილიონი ლარის სასწრაფოდ გამოყოფას. სახელმწიფო მინისტრი უკვე შეხვდა აქციის მონაწილეებს. როგორ გადაწყდება ეს პრობლემა?

– დემონსტრაცია რომ ამ პრობლემებს შეეხოდეს, დემონსტრაციის შედეგად რომ შეიძლებოდეს საჭირო თანხის მოძიება, პირადად ჩავუდგები სათავეში აქციებს. მაგრამ ეს ფორმა პრობლემის მოსაგვარებლად მიუღებელია. რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, გაკეთდა კიდეც, დედაქალაქის მერიამ 300-ზე მეტი ბინა შეისყიდა. მიმდინარეობს დამატებითი სამუშაოები. დაზიანებულია სასწავლო დაწესებულებები. საქართველოს მთავრობის თხოვნის საფუძველზე, მსოფლიო ბანკმა 5 მილიონი ამერიკული დოლარი გამოყო სკოლებისა და ბაგა-ბაღების აღსადგენად. ამასთან, თურქეთში არსებობს სერიოზულ ბიზნესმენთა ჯგუფი, რომელთაც ეს მიმართულება აინტერესებთ. ისინი მზად არიან ამ სექტორში განახორციელონ ინვესტიცია და გარკვეული პროცენტი მიიღონ. აქციის მონაწილეები ქუჩაში გამოდიან და ყვირიან, ჩვენ კიდევ ვმუშაობთ, რომ დამარალებულებს რეალური დახმარება გავუწიოთ. პრეზიდენტის ფონდიდან მილიონი ლარია გამოყოფილი, კიდევ გამოვყოფთ 500 ათას ლარს, მეგი თანხა კი ფიზიკურად არ არსებობს, მაგრამ გამოვნახავთ სხვა საშუალებას.

არც ერთ დემონსტრანტზე ნაკლებად საქართველოს პრეზიდენტსაც ეფიქრება, დარეფუნებული ვარ. რაც უნდა ილაპარაკოს სეპარატისტთა ლიდერმა, მნიშვნელობა არა აქვს. არძინბას რუსეთის მიმართ პოზიციურ განცხადებებს იმიგომ აკეთებს, რომ ცოტა სული მოითქვას. რაგომ გიკვირთ, არძინბას როდის ულაპარაკია კარგი ქართველებზე. ჩვენ ჩვენი საკეთებელი უნდა ვაკეთოთ. პირადად არაერთხელ ჩამოვყალიბე, თუ რა გზით უნდა დავბრუნდეთ აფხაზეთში, სხვათა შორის, თქვენი შეკითხვა, თითქოსდა ამერიკის შეერთებულ შტატებს აღარ აინტერესებს აფხაზეთის საკითხი, სიმართლეს არ შეესაბამება. ჯორჯ ბუშს მე ვხვდები და ველაპარაკები, წერილებს მე ვწერ და მის წერილებსაც მე ვპასუხობ და საინტერესოა, ამ დროს თქვენ იგვიძო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აღარ არის დაინტერესებული აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტით. ეს ბატონ თამმან ნადარეიშვილის ნათქვამს ეყრდნობა, რომელმაც განაცხადა, რომ თითქოსდა შევარდნაძემ ხელი მოაწერა კონფლიქტის მონაში სამშვიდობო მანდატის 10 წლით გაგრძელებას. ცოტა უნდა გაეკვეთ საკითხში.

რუსეთის ტელეკომპანია „ნტვ“: ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ინიციატივით აფხაზეთის ომში მოშუშავე ჟურნალისტები ომის მონაწილეებთან გაიათანაბრეთ და ამის შედეგად ისინი დამატებითი შეღავათებით სარგებლობდნენ. წელიწადს ამბობენ, რომ ეს შეღავათები გაუქმდა, ხოლო ის, თუ რის საფუძველზე გაუქმდა, აღარ დასტურდება. მართალია თუ არა ეს ინფორმაცია?

– ეს საკითხი პარლამენტის გარეშე არ გადაწყდებოდა. შეიძლება ჩემს გარეშე მოხდა ამის განხილვა. ისე, პირადად, ყოველგვარი შეღავათის გაუქმების წინააღმდეგი ვარ. მით უფრო, არა მაქვს სურვილი ჟურნალისტებთან ურთიერთობა გავიფუჭო.

**რუსეთის ტელეკომპანია „ნტვ“: ითვალისწინებთ თუ არა რ

საქართველოს რესპუბლიკა
№ 143. სამშაბათი, 3 ივნისი, 2003 წელი.

თანამშრომლობა

ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისია თბილისში

3-5 ივნისს თბილისს ეწვევა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის მორიგი მისია, რომლის შემადგენლობაში არიან უნგრელი მაგიას იორში და ბულგარელი ევგენი კირილოვი. მისიის ვიზიტის უმთავრესი მიზანია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრთათვის რეკომენდაციათა პაკეტის შემუშავება იმის თაობაზე, თუ როგორ ასრულებს ჩვენი ქვეყანა ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.

ევროპელი ექსპერტები ქართველ კოლეგებთან ერთად იმსჯელებენ შემოდგომაზე დაგეგმილი პარლამენტის არჩევნების მაქსიმალურად დემოკრატიული წესით გამართვის თაობაზე. წინასწარი ინფორმაციით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეკომენდაციებად საარჩევნო კოდექსში ცვლილებათა განხორციელება და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირებაა, ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებულია თავისუფალი მედიის შესახებ კანონის მიღების თაობაზე მნიშვნელოვანი დებატები.

მონიტორინგის მისიის წევრები შეხვდებიან საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლებს.

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისიის შეფასებანი მნიშვნელოვანი ფაქტორი და საფუძველი გახდება სექტემბერში, სტრასბურგში დაგეგმილ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ანალიტიკური მოხსენებისათვის.

საქინფორმი.

რუსთაველის პრემიის ახალი ლაურეატები

რამდენი ადამიანის ბედი გაითავისა

სულ სამიოდე თვე გვაშორებს ამ დღეს, როცა გამოჩენილ ქართველ მსახიობს გიორგი გეგეჭკორს 80 წლის იუბილე მიულოცა საზოგადოებრიობამ, მადლიერმა ხალხმა. ჩვენი გაზეთის ფურცლებიდანაც მივულოცეთ, მოვეფერეთ მსახიობს, რამდენადაც შეგვეძლო. ისიც ვიცოდით, რომ მოთა რუსთაველის სახელობის ეროვნულ პრემიაზე იყო წარდგენილი ბოლო ნამუშევრით ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში განხორციელებული სპექტაკლით „მონაგრება“ და მთელი შემოქმედების გათვალისწინებით. ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ ლაურეატობასაც მივულოცავდით, რადგან განსაკუთრებულია მისი ღვაწლი და თავდადება ქართული თეატრის წინაშე, ერის წინაშე...

ვი რომ, ასე არ სჯიდა წერამწერალი – სიცოცხლეში ვეღარ მოესწრო გიორგი გეგეჭკორი რუსთაველის პრემიას... თუმცა მისი ნიჭიერებით ხორცშესხმული მხატვრული სახეები ისევ ჩვენს შორისაა და ასე იქნება დიდხანს... ისინი ძალიან ბევრია, ლამის ექვსი ათეული წელი დაჰყო მსახიობმა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე და ასამდე სცენური სახე შექმნა, თუ ამას 40-მდე კინოროლსაც დავუმატებთ, ცხადი გახდება, რამდენი ხასიათისა და ბედის ადამიანთა ცხოვრებით იცხოვრა მსახიობმა და ყველა მათგანში მაღალპროფესიულ და სრულყოფილ ოსტატად მოგვეელინა. აკი ამიგომაც აღიარა იგი საქართველომ ხელოვნების ქურუმად.

მისი ცხოვრების კრედო მისი სიტყვებიდანვე გამომდინარეობდა: „ქართველი მსახიობი, პირველ რიგში უნდა იყოს ქართველი მოქალაქე, უყვარდეს სამშობლო და ყველგან ნერგავდეს მის სიყვარულს. თეატრს დიდი მისია აქვს დაკისრებული, იგი სამოგადოების გრიბუნაა, მსახიობი კი ხალხის სულიერი მსახური... მსახიობის პროფესიას დიდი საზოგადოებრივი ჟღერადობა აქვს, იგი ცხოვრებისეული კკი ვალების, საწუხარის, სიხარულის გამომხატველია, ამიგომაც მისთვის მიუღებელია გულგრილობა და გულცივობა. შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა ისევე აუცილებელია მსახიობისათვის, როგორც გარეგნობა, სმენა, შეგყვეელება და პლასტიკურობა. მსახიობს უნდა უყვარდეს ლიტერატურა, თავისი ერის ისტორია... და სხვა მრავალი. ჩემი აზრით, ნამდვილი მსახიობის პროფესია რთული ხელოვნებაა და მრავალი წახნაგი აქვს“.

ეს მხოლოდ სიტყვები არ ყოფილა მსახიობისთვის, იგი ჭეშმარიტად ამ რწმენით იღვწოდა და ზეციწედ ქმნიდა კიდეც აქტიორული ხელოვნების შედევრებს.

ეს შედევრები ძირითადად სახელოვანი რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიბადნენ. დიდი გზა გლეშოვით დაიწყო (ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“). შემოსვევით, სრულიად ახალგაზრდას, განუმეორებელი აკაკი ხორავა შეუცვლია და ისეთი სახე შეუქმნია, რომ ეს როლი აკაკი ხორავას მისთვის გადაულია და ბარათიც მიუწერია: „ჩემო გოგი! დიდი იმედი მაქვს შენი, დარწმუნებული ვარ, რომ შენ უთუოდ გახდები დიდი სახელელო მოღვაწე-მსახიობი ქართული თეატრისა.“ აკი ახდა დიდი მსახიობის წინასწარმეტყველება.

მალე ტატო როლმა (მ. მრეველიშვილის „ნიკალომ ბარათაშვილი“) სახელოვან რეჟისორს მიხელ თუმანიშვილს ათქმევინა, რომ ეს იყო გოგი გეგეჭკორის აღიარება და ჭეშმარიტი დაბადება.

მსახიობის ხალას და ელვარე ნიჭზე, გარდასახვის არაჩვეულებრივ ოსტატობაზე მეტყველებდა მის მიერ გამოძერწული სახეები: დონ სეზარი, აპოლონ ქათამაძე, კაცი მანგიით, ექვთიმე ქათამაძე, ალექსი, იაგო, მგელი, გლოსტერი, ბატონი შალვა, ალატონი, გიგრანა, კასიუსი, ბაკინგემი, პანტე ჯაავა, იონა, დონ პასკუალე, მეჯლანუაშვილი... ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს.

მსახიობის ბოლო ნამუშევარი იყო მონოსპექტაკლი „მონაგრება“, რომელიც ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში დაიდგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის კოტე მახარაძისა და რეჟისორ კოტე მირიანაშვილის მოწადინებით. სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის სამი მოთხრობის – „ხაშარული“, „უმადურისა“ და „მონაგრების“ მიხედვით შეიქმნა. გიორგი გეგეჭკორისთვის ძალზე ორგანული იყო მწერლის მსოფლმხედველობა და სულისკვეთება და წლების მანძილზე არაერთი დაუვიწყარი სცენური თუ ეკრანული სახე შექმნა

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი – მათემატიკა; მექანიკა; ასტრონომია; ინფორმატიკა.

გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – გამოყენებითი მათემატიკა; კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების პროგრამული უზრუნველყოფა; გამოყენებითი და სტრუქტურული ლინგვისტიკა; მათემატიკური მოდელირება; მათემატიკური კიბერნეტიკა; კიბერნეტიკული მოდელირება და მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლოგიები; მართვისა და დაპროექტების ავტომატიზებული სისტემების მათემატიკური უზრუნველყოფა.

ფიზიკის ფაკულტეტი – ატომური და ბირთვული ფიზიკა; ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა; თეორიული ფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა; ბიოფიზიკა, გეოფიზიკა; რადიოფიზიკა და ელექტრონიკა; მიკროელექტრონული სისტემები და მოწყობილობები; ზეგამგართა ფიზიკა და ნახევარგამგარული მასალათმცოდნეობა; კომპიუტერული ტექნოლოგიები; სწავლების მეთოდიკა; ნახევარგამგართა ფიზიკა; ფიზიკური პროცესების კომპიუტერული მოდელირება.

ქიმიის ფაკულტეტი – ფიზიკური ქიმია; ანალიზური ქიმია; არაორგანული ქიმია; ქიმიური კინეტიკა; ორგანული ქიმია; მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია; ბიოორგანული ქიმია; ელემენტ-ორგანულ ნაერთთა ქიმია; კომპლექსნაერთთა ქიმია; გარემოს ქიმია და კონტროლი; ბუნებრივ ნაერთთა ქიმია; ნავთობის და ბუნებრივი აირების ქიმია; ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები; საყოფაცხოვრებო მასალების ქიმია და ქიმიური ექსპერტიზა; არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ექსპერტიზა; კვების პროდუქტების და სამკურნალო სამუალებათა ექსპერტიზა (არასაბიუჯეტო სექტორი); ქიმიური ბიოტექნოლოგია; ეკოქიმიური ექსპერტიზა (არასაბიუჯეტო სექტორი); ეთერზეთების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა (არასაბიუჯეტო სექტორი); ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა (არასაბიუჯეტო სექტორი).

გეოგრაფიისა და გეოლოგიის ფაკულტეტი – ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს დაცვა; სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია; გეომორფოლოგია-გეოეკოლოგია; ნიადაგების გეოგრაფია; კარტოგრაფია და გეოინფორმაგიკა; ჰიდროლოგია და ჰიდროეკოლოგია; მეტეოროლოგიაკლიმატოლოგია; ოკეანოლოგია; გეოლოგია და მინერალური რესურსების კვლევა; სასარგებლო წიაღისეულის ძიების გეოფიზიკური მეთოდები.

ბიოლოგიის ფაკულტეტი – ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია; ბიოქიმია; ბიოფიზიკა; ბოგანიკა; გენეტიკა; ეკოლოგია; ზოოლოგია; იმუნოლოგია; მიკრობიოლოგია; მცენარეთა ფიზიოლოგია; უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგია; ციტოლოგია; ჰიდრობიოლოგია; ბიოლოგიური მედიცინა; ტოქსიკოლოგია; საერთაშორისო ეკოლოგიური პოლიგიკა და მენეჯმენტი; გრანსფუზიოლოგია და ციგოჰემატოლოგია; ინდივიდუალური განვითარების ბიოლოგია (არასაბიუჯეტო სექტორი); ბიოტექნოლოგია (არასაბიუჯეტო სექტორი).

ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი – ფილოსოფია; სოციოლოგია; თეოლოგია; კულტუროლოგია.

ფსიქოლოგიის ფაკულტეტი – ზოგადი ფსიქოლოგია; სოციალური ფსიქოლოგია; განათლების სისტემის ფსიქოლოგია; შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია; უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა; ზოგადსაგანმანათლებო სკოლის დიდაქტიკა; რეკლამის ფსიქოლოგია; ეთნოპოლიტიკური ფსიქოლოგია.

ისტორიის ფაკულტეტი – ისტორია; პოლიტოლოგია; ხელოვნების ისტორია და თეორია; დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია; დემოგრაფია; ისტორიული კულტუროლოგია.

ფილოლოგიის ფაკულტეტი – ქართული ლიტერატურა; ქართველური ენები; ლიტერატურული ურთიერთობა და თარგმანი, კავკასიური ენები (ქართულ და რუსულ განყოფილებებზე); ფოლკლორისტიკა; ლიტერატურის თეორია; სლავური ენები (რუსული განყოფილება); რუსული ლიტერატურა (რუსული განყოფილება); რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა და ლიტერატურა (რუსული განყოფილება); კლასიკური ფილოლოგია; ბიზანტინისტიკა და ნეოგრეკისტიკა (ქართულ და რუსულ განყოფილებებზე); ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების ისტორია.

ჟურნალისტიკის ფაკულტეტი – პრესის ჟურნალისტიკა; საერთაშორისო ჟურნალისტიკა; ჟურნალისტიკის ისტორია; ტელე და რადიოჟურნალისტიკა.

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი – ანგლისტიკა; გერმანისტიკა; რომანისტიკა; ფრანგული ენა, ესპანური ენა, იტალიური ენა; ამერიკანისტიკა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი – სემიტოლოგია (არასაბიუჯეტო სექტორი); ირანული ფილოლოგია; თურქული ფილოლოგია; ებრაულ-არამეული ფილოლოგია (არასაბიუჯეტო სექტორი); არაბული ქვეყნების ისტორია; ირანის ისტორია; თურქეთის ისტორია; არმენოლოგია (არასაბიუჯეტო სექტორი); ასირიოლოგია.

საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი – საერთაშორისო ურთიერთობები.

ეკონომიკის ფაკულტეტი – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; ეკონომიკური თეორია; სტატისტიკა; მაკროეკონომიკა; აღრიცხვა; ანალიზი; აუდიტი; შრომის ეკონომიკა; სამრეწველო წარმოების ეკონომიკა და მართვა; აგროსამრეწველო წარმოების ეკონომიკა და მართვა; სახელმწიფო ფინანსები; საბანკო საქმე; საგადასახადო საქმე; საფაზღვევო საქმე; საბაჟო საქმე.

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტი – საწარმოო მენეჯმენტი; მცირე ბიზნესის ორგანიზაცია; სამრეწველო წარმოების ორგანიზაცია; სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია (არასაბიუჯეტო სექტორი); ფირმის ეკონომიკა; ეკონომიკური საინფორმაციო სისტემები მენეჯმენტში; მენეჯმენტი განათლების სფეროში; მენეჯმენტი სოციალურ სფეროში; ეკონომეტრიკა; საერთაშორისო მენეჯმენტი; სამრეწველო წარმოების ეკონომიკა (არასაბიუჯეტო სექტორი); ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და მართვა; საინფორმაციო სისტემები საგარეო ვაჭრობასა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში (არასაბიუჯეტო სექტორი); ინფორმაგიკა დიპლომაგიასა და სახელმწიფო მართვაში (არასაბიუჯეტო სექტორი); ინფორმაგიკა საბანკო, საფინანსო, საგადასახადო და საბაჟო საქმეში (არასაბიუჯეტო სექტორი).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტი – ანგიკვარული საქონლის ექსპერტიზა და საქონელმცოდნეობა საერთაშორისო ვაჭრობაში; სამრეწველო პროდუქციის სასაქონლო ექსპერტიზა საგარეო ვაჭრობაში; წარმოების მარკეტინგი; სამრეწველო პროდუქციის სგანდარგიზაცია, სერგიფიკაცია და ხარისხის მართვა; საერთაშორისო მარკეტინგი და საგარეო-კომერციული ურთიერთობები; საბირჟო საქმე; მარკეტინგი; საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაცია; საქონელმიმოქცევის ეკონომიკა; მცენარეული საკვები პროდუქტების სასაქონლო ექსპერტიზა და კომერცია; ცხოველური საკვები პროდუქტების სასაქონლო ექსპერტიზა და კომერცია; სასაქონლო ექსპერტიზა საბაჟო სამსახურში; კომერცია; ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა და ბიზნესი (არასაბიუჯეტო სექტორი); რეკლამა კომერციულ საქმიანობაში; მასობრივი კვების ეკონომიკა და ორგანიზაცია (არასაბიუჯეტო სექტორი); ტურიზმის ბიზნესი; ტურიზმისა და სასტუმრო მეურნეობის კომერციული საქმიანობა; რესტორნებისა და სასტუმროების კომპლექსის კომერციული საქმიანობა; მომსახურების მარკეტინგი; სტუმართმიღების ინდუსტრიის მარკეტინგი; სასურსათო პროდუქციის სგანდარგიზაცია, სერგიფიკაცია, ხარისხის მართვა.

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი (არასაბიუჯეტო სექტორი) – საერთაშორისო ბიზნესი; ბიზნესის სამართალი; საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესი და სამართალი; ბიზნესის ადმინისტრირება; გლობალიზაციის პოლიგიკა და ეკონომიკური დიპლომაგია; გარემოს ეკონომიკური შეფასება და ეკოლოგიური ექსპერტიზა.

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი (არასაბიუჯეტო სექტორი) – საზოგადოებრივ ურთიერთობათა კოორდინაცია;

მედიცინის ფაკულტეტი (არასაბიუჯეტო სექტორი) – თეორიული მედიცინა; საზოგადოებრივი ჯანდაცვა;

საფაკულტეტთაშორისო სპეციალობები – *ბიოგეოგრაფია; ევროპული სამართალი* (არასაბიუჯეტო სექტორი); ***სოციალური მეცნიერებები; კონფლიქტების მართვა.***

მაგისტრატურაში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე სამაგისტრო სპეციალობის მითითებით (ფორმა № 69 გაიცემა ფაკულტეტებზე);
2. უმაღლესი განათლების დიპლომი (დედანი) დანართითურთ და მათი შესაბამისი თითო ასლი;
3. რეკომენდაცია, გაცემული სამაგისტრო სპეციალობის თსუ-ის საბამო კათედრის მიერ და დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით;
4. სამი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3 სმ X 4 სმ;
8. მოქალაქის პირადობის მოწმობა (პასპორტი);
9. სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების დამადასტურებელი საბუთი.

საბუთები მიიღება 2003 წლის 26 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით.

(თსუ-ის I კორპუსი, № 130 ოთახი), 10-დან 16 საათამდე.

ცნობებისათვის მიმართეთ ტელ: 25-27-56, 29-08-46, 22-54-50. ფაქსი: (99532) 225450. www.tsu.edu.ge

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიმღები კომისია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას მაგისტრატურაში

2003_2004 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სექტორები):

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას

2003-2004 სასწავლო წლისათვის წარმოებისაგან მოწყვეტით დღის (დასწრებული) სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: სამკურნალო (ძართული სექტორი), პედიატრიული, სტომატოლოგიური, ფსიქოთერაპიისა და ფსიქოსომატური მედიცინის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაცევტული (უფასო და ფასიანი სწავლების სექტორები); სამხედრო სამედიცინო (უფასო სწავლება); სამედიცინო ბიოლოგიის, სამკურნალო — რუსული, ინგლისური და ფრანგულენოვანი სექტორი (ფასიანი სწავლება).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო-პროფესიული განათლების მქონე მოქალაქენი. განცხადებას, რომელიც ადგილზე შეივსება, თან უნდა დაერთოს:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი);
2. ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4);
3. პასპორტს (ან მის შემცველ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას) და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

სამხედრო სამედიცინო ფაკულტეტზე მიიღებიან მხოლოდ 21 წლამდე ასაკის ვაჟები, ჯარში ნამსახურები პირებისთვის კი ასაკი 23 წლამდე განისაზღვრება. სამხედრო სამედიცინო ფაკულტეტის აბიტურიენტები დამატებით წარმოადგენენ: სამედიცინო ცნობას, შუამდგომლობას სამხედრო კომისარიატიდან ან სამხედრო ნაწილიდან, დახასიათებას, ავტობიოგრაფიას, დაბადების მოწმობის ასლს, შემოწმდებიან საერთო ფიზიკურ მომზადებაში და გაივლიან სამხედრო სამედიცინო კომისიას 10 ივლისიდან 18 ივლისის ჩათვლით.

მისაღები გამოცდები ჩატარდება მითითებული თანამიმდევრობით შემდეგ საგნებში. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაკულტეტის უფასო სექტორზე: ქიმია (ზეპირი); უცხო ენა (წერა); ბიოლოგია (ზეპირი); მშობლიური ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) ფასიანი სწავლების სექტორზე მისაღები გამოცდები ჩატარდება ფაკულტეტების მიხედვით შემდეგ საგნებში:

ა) სამკურნალო (ძართული და რუსული სექტორი) და სტომატოლოგიურ ფაკულტეტებზე: ქიმია, ბიოლოგია, მშობლიური ენა და ლიტერატურა (ზეპირი — ტესტირებით, კომპლექსურად).

ბ) პედიატრიული, ფსიქოთერაპიისა და ფსიქოსომატური მედიცინის, სამედიცინო ბიოლოგიის ფაკულტეტებზე: ბიოლოგია, მშობლიური ენა და ლიტერატურა (ზეპირი — ტესტირებით, კომპლექსურად).

ბ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ფარმაცევტულ ფაკულტეტებზე: ქიმია, მშობლიური ენა და ლიტერატურა (ზეპირი — ტესტირებით, კომპლექსურად).

თსსუ-ში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით, ჩარიცხვა მოხდება გამოცდებზე დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით.

უფასო და ფასიან სექტორებზე, შეფასების კრიტერიუმების სხვაობის გამო, ჩარიცხვა იწარმოებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კონკურსის საფუძველზე.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (გარდა კვირისა), 30 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით, 10-დან 15 საათამდე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსში.

მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, 29.

გამოცდების ცხრილი გამოქვეყნდება 19 ივლისს.

თსსუ-ის კოლეჯსა და მის ქუთაისის ფილიალში

ა) უფასო და ფასიანი სწავლების სექტორებზე მიიღებიან ცხრაკლასდამთავრებული პირები. სწავლების ვადა 3 წელია. კურსდამთავრებულები სურვილის შემთხვევაში სწავლას განაგრძობენ თსსუ-ის შესაბამის ფაკულტეტებზე (სამკურნალო, პედიატრიული, ფსიქოთერაპიისა და ფსიქოსომატური მედიცინის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სამედიცინო ბიოლოგიის), სწავლების მეორე ეტაპიდან (უფასო და ფასიან სექტორებზე შესაბამისად). უფასო სექტორზე მიღება იწარმოებს მხოლოდ თსსუ-ის კოლეჯში.

თსსუ-ის კოლეჯის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე მიიღებიან ცხრაკლასდამთავრებული პირები. სწავლების ვადა 3 წელია. სწავლება ფასიანია. კურსდამთავრებულები სურვილის შემთხვევაში სწავლას განაგრძობენ თსსუ-ის ფარმაცევტული ფაკულტეტის სწავლების II ეტაპიდან (ფასიან სექტორზე).

კოლეჯში მისაღები გამოცდები მოეწყობა ქიმიაში, ბიოლოგიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში ზეპირი ფორმით. გამოცდები სამივე საგანში ჩატარდება საშუალო სკოლის 9 კლასით დათვალისწინებული სახელმწიფო სასწავლო პროგრამის მიხედვით.

კოლეჯში შემსვლელებმა განცხადებას, რომელიც ადგილზე შეივსება, თან უნდა დაურთონ:

1. არასრული საშუალო განათლების მოწმობა (დედანი);
2. ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

კოლეჯში განცხადებები მიიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 16 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით, 10-დან 15 საათამდე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის II სასწავლო კორპუსში.

მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, 27.

გამოცდების ცხრილი გამოქვეყნდება 5 ივლისს.

თსსუ-ის კოლეჯის ქუთაისის ფილიალში განცხადებები მიიღება ყოველდღე (გარდა კვირისა), 16 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით, 10-დან 15 საათამდე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ზოგადი პათოლოგიის ქუთაისის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შენობაში.

მისამართი: ქუთაისი, კ. მესხის ქ. 5 ა.

გამოცდების ცხრილი გამოქვეყნდება 30 ივნისს.

გამოცდებთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით, როგორც თსსუ-ში, ასევე კოლეჯსა და მის ქუთაისის ფილიალში აბიტურიენტები საბუთების შეტანისას გადაიხდიან 20 ლარს.

თსსუ-ში ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულენოვან სექტორებზე საკონტრაქტო სისტემით ჩაირიცხებიან უცხოეთის მოქალაქენი. ინგლისურ და ფრანგულენოვან სექტორებზე კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებსაც. მსურველთა განცხადებები მიიღება 2003 წლის 1 სექტემბრიდან 12 სექტემბრამდე. საკონკურსო შერჩევა ჩატარდება ქიმიაში, ბიოლოგიაში და სწავლების სექტორის შესაბამის ენაში გასაუბრების წესით 2003 წლის 15 სექტემბერს.

ფარმაცევტული ფაკულტეტის საღამოს დასწრებული სწავლების ფასიან სექტორზე განცხადებების მიღება დაიწყება სექტემბერში. საკონკურსო შერჩევა ჩატარდება ქიმიაში 2003 წლის ნოემბერში.

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აწყობს დღა კარის დღეს:

ა) თსსუ-ში შემსვლელთათვის 22 ივნისს, 13 საათზე (მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, 31, III სასწავლო კორპუსი).

ბ) თსსუ-ის კოლეჯში შემსვლელთათვის 15 ივნისს, 13 საათზე (მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, 31, III სასწავლო კორპუსი).

გ) თსსუ-ის კოლეჯის ქუთაისის ფილიალში შემსვლელთათვის 14 ივნისს, 13 საათზე (მისამართი: ქუთაისი, კ. მესხის ქ. № 5 ა.)

დაწერილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღები კომისიის ცნობათა ბიუროს 16 ივნისიდან. მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი 27. ტელ: 39-80-22; ქუთაისი, კ. მესხის ქ. 5 ა. ტელ: 7-79-90; 7-80-04.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

• მთავრობის ნაცვლად პოლიტსაბჭო?
• ექსტრემისტები 57 აფეთქებას ამზადებდნენ
• ეკოლოგებმა განგაში აატეხეს

ამმ ერაყში ხელისუფლების შექმნას აჩქარებს

ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ქვეყნის მომავალი მთავრობის შექმნის მიზნით ეროვნული კონფერენციის მოწვევის იდეა შეიძლება შეიცვალოს 25-30 კაცისაგან შემდგარი პოლიტიკური საბჭოს შექმნით.

ერთ-ერთმა ამერიკელმა მაღალჩინოსანმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, განაცხადა, რომ განიხილავენ ერაყში ახალი ხელისუფლების ფორმირებისა და ეროვნული კონსტიტუციის მემუშავების რამდენიმე „კონცეფციას“. აქკამად დიდ მოწონებას იმსახურებს პოლიტიკური წარმომადგენლების ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად გადაწყვიტონ ერაყში ხელისუფლების შექმნის საკითხი.

ერაყელები კი, თავის მხრივ, სულ უფრო მტრულად ეკიდებიან კოალიციის მოქმედებას, სულ უფრო იშრება ეჭვი იმის თაობაზე, თუ რამდენად გულწრფელია ამერიკელებისა და ბრიტანელების ბრახვები.

ისრაელის არმია მზად არის მოსალოდნელი ტერაქტების აღსაკვეთად

2 ივნისს ისრაელის არმია მოყვანილია გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაში, რადგან ქვეყანაში მოელიან ტერორისტული აქტების განხორციელებას. როგორც იტყობინებოდნენ, ისრაელის სპეციალისტრებს ჰქონდათ მონაცემები იმის თაობაზე, რომ ექსტრემისტები ამზადებდნენ 57 აფეთქებას, რომელთაგან შეიდის აღკვეთა უკვე მოხერხდა ამ ბოლო დღეების მანძილზე. საქმე ეხება კამიკაძე ტერორისტების მოქმედებასა და დანაღმული ავტომობილების აფეთქებას.

ისრაელის არმიის ოფიციალური წარმომადგენელი ორშაბათს აღნიშნავდა, რომ ჯარების გადიდებულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის მეორე მიზეზი ის, რომ კვირას მოახსნა ბლოკადა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირსა და ღაზის სექტორში. ეს კი იმის ნიშნავს, რომ ისრაელში მუშაობის უფლების მქონე 25 ათას პალესტინელს კვლავ შეეძლება შესვლა ებრაელთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ისრაელის არმიის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, „არმია აპირებს მისცეს პალესტინელებს საგმაო რუკის“ გეგმის დებულებათა რეალიზაციის შანსი, მაგრამ ექსტრემისტების მიერ ტერორისტული აქტების განხორციელების შემთხვევაში, იგი „მზად იქნება დაუყოვნებლივ აღადგინოს პალესტინის ტერიტორიების ბლოკადის რეჟიმი“.

გასული დღე-ღამის განმავლობაში ღაზის სექტორში მოკლეს ორი პალესტინელი – შეიარაღებული მოთარეშე და 17 წლის მოზარდი.

პალესტინის ტერიტორიების „სრული იზოლაციის რეჟიმის“ მოხსნის მიუხედავად, ისრაელის არმიის ქვეგანაყოფები მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე კვლავ აპატიმრებენ პალესტინელებს.

ჩინეთში საექსპერიმენტოდ გადაეცემა მსოფლიოში უმძლავრესი ჰიდროელექტროსადგური

ჩინეთში დაიწყეს „ხანსაას“ („სამი ხეობის“) წყალსაცავის შევსება, რომლის ბაბაზეც 2009 წლისათვის აშენდება მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური.

პეკინში აცხადებენ, რომ ეს იქნება მსოფლიოში ყველაზე დიდი ნაგებობა ჩინეთის დიდი კედლის შემდეგ.

1 ივნისს მოქმედება დაიწყო კამხალმა, რომელმაც მუაზე გაყო ცისფერი მდინარე – 6 ათასი კილომეტრი სიგრძის იანი. კამხალმა წარმოქმნა ხელოვნური გბა, რომლის ფართობი 600 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. როგორც „ეორიერე დელი სერა“ წერს, მთელი მსოფლიოს ტელეკომპანიები გადასცემდნენ კამხლის 19 სადგურის და წყლის მძლავრი ნაკადების გადაკეტვის მთამბეჭდავ სურათს, რის შედეგადაც ნელ-ნელა ივსებოდა ხელოვნური აუზი.

ამ ნაგებობის მშენებლობა 10 წელიწადს გრძელდებოდა, პროექტის განხორციელებისათვის ჩინეთის მთავრობამ გაიღო 25 მილიარდი დოლარი. ჩინეთის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ მეძლო გამოენახა ოპტიმალური ტექნოლოგიური გადაწყვეტა დამანგრეველ წყალდიდობათა პრობლემის მოგვარებისათვის, რომელთა შედეგადაც მარგო მეოცე საუკუნეში დაიღუპა 300 ათასი კაცი, ქვეყანამ კი აუნამდეურებელი მარაცი განიცადა. ხელისუფლება, აგრეთვე, ამტკიცებს, რომ მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის 26 გენერაგორის მშენებლობის დასრულების შემდეგ, უკვე 2009 წლის დამლევისათვის, უკ უდიდესი ჰიდროგენეკიური ნაგებობა შეძლებს 18 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის გამომუშავებას.

თუმცა, როგორც ეკოლოგები აღნიშნავენ, მედალს მეორე მხარეც აქვს: საჭიროა იქნება ამმბილური ხოდო ადგილებიდან იძულებით აყრილი მილიონობით ადამიანის დაბინავება. გარდა ამისა, დაიტბორება ასობით არქეოლოგიური ზონა, ჰიდროელექტროსადგური დამანგრეველ გავლენას მოახდენს ეკოლოგიურ სისტემებსა და ცხოველთა სამყაროზე, გამეჩხერდება ბალეთა ფაუნა. ჩინეთის ხელისუფლებამ ამ ყველა ეს ფაქტორი ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ მონოპოლიას, თანაც დიდია ქვეყანაში ისეთი მინისტრების გავლენა, როგორებიც არიან კულრინი და გრეფი. მაგრამ, საფ არის იმის გარანტია, რომ 2008 წლისათვის ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ პოსტებს?

პოტენციური კანდიდატი: ყველა რუსი პოლიტიკური მოთამაშისათვის კარგადაა ცნობილი, თუ როგორ ესწრაფვის ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი უმაღლეს ხელისუფლებაში მოხვედრას. საქმეში ჩახედული ადამიანების აზრით, ეს კაცი უთუოდ მიიღებს მონაწილეობას საპრეზიდენტო მარათონში. ყველაზე ნაკლები, რასაც შეიძლება იგი დასჯერდეს, იქნება პრემიერის ან კრემლის ადმინისტრაციის მეთაურის პოსტი იმ პირობით, რომ მას მთლიანად გამოუცხადეს ნდობას პრეზიდენტი.

ბალაქტიპა „ალფა“

ფინანსური რესურსი: „ფორბსის“ შეფასებით „ალფას“ მეთაურის მიხეილ ფრიდმანის ქონება დაახლოებით 4,3 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ადმინისტრაციული რესურსი: ძალზე სერიოზული. „ალფას“ ჰყავს უამრავი მეგობარი მინისტრების მოადგილეების, უწყებათა სამმართველოების უფროსებისა და სხვა დონეზე. გარდა ამისა, ჯგუფს აქვს უდიდესი გავლენა ისეთ მნიშვნელოვან რეგიონებში, როგორიც არის გიუმენი.

პოტენციური კანდიდატი: ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ „ალფას“ ხელმძღვანელები ბორის ნემცოვს მიიჩნევდნენ ქვეყნის ლიდერობის შესაძლო კანდიდატად. მაგრამ ახლა მისი მაშანდა დაეცა. და სხვა პოტენციური კანდიდატები „ალფა-საგან“ ჯერჯერობით არ ჩანს. სავსებით შესაძლებელია, რომ „ალფა“, ბოლოს და ბოლოს, ერთ ბლოკში გაერთიანდეს ჩუბაისის ჯგუფთან.

კომპარტია

ფინანსური რესურსი. ყველა სხვა პოლიტიკური ძალისაგან განსხვავებით, კომპარტიას არ სჭირდება მძლავრი ფინანსური ინექციები. აქგვისგთა ძირითადი მასა იდეისთვის შუშაობს. პარტიის აპარაგის შუაკეთა უმრავლესობა რეგიონებში კი კმაყოფილდება თვეში რამდენიმე ათასი რუბლის ოდენობის ხელფასით.

ადმინისტრაციული რესურსი. სუსგი.

პოტენციური კანდიდატი. ამომრჩეველთა დაახლოებით 20 პროცენტი ყოველთვის მისცემს ხმას „ეროელ“ კანდიდატს, ვინც უნდა იყოს იგი. ექსპერტთა შეფასებით, რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის პოპულარობა შეიძლება გაიზარდოს, თუ მის სათავეში იდგება არა მიუგანოვი, რომელმაც ყველას უკვე მოაბეზრა თავი, არამედ სერგეი გლაზიევი.

2008 წლის არჩევნებში ყველა ზემოაღნიშნული ჯგუფის რესურსების შეფასება (ათბალიანი სისტემით) ვთხოვეთ ექსპერტებს – სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის ფედერაციის კომპარტიის ფრაქციის კოორდინატორს სერგეი რეშულსკის, მემარჯვენე ძალთა კავშირის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს ბორის ნადეჟდინს, პოლეგოლოგებს ბორის მაკარენკოს, ვიაჩესლავ ნიკონოვსა და იოსებ დისკინს. აი, რა გამოვიდა შეჯერებული გაბულით...

ვინ გახდება პრეზიდენტი პუტინის შემდეგ?

პროგნოზი

	ადმინისტრაციული რესურსი	ფინანსური რესურსი	პოტენციური კანდიდატის „წონა“	ავტორიტეტები პოპულარობა	საერთო ქულა
„ძველი ოჯახი“	8	9,6	1,4	1,2	20,2
ხოდორკოვსკის იმპერია	4,8	8	3,4	2,8	19
„ლიბერალი					
პეტერბურგელები“	4,8	6,8	3,4	2,2	17,2
„ალფა“	4,2	7,2	3,2	2	16,6
„პეტერბურგელი					
ჩეკისტები“	6,2	5,6	1,4	1	14,2
კომპარტია	2,4	3,8	3	3,6	12,8

ოთხი საფეხური ხელისუფლებისაკენ

2004 წელი. ომი სავარძლებისათვის.

„2008 წლის არჩევნებამდე რუსეთს უთუოდ მოიცავს მორიგი ეკონომიკური კრიზისი, რასაც მოჰყვება რუბლის დევალვაცია, – განაცხადა მთავრობის აპარაგის მაღალი თანამდებობის თანამშრომელმა. – ასე რომ, თავისუფალი ფული რუსეთის ელიტას შემოაკლდება“. თუმცა, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ისეთი ღვთისსაბეჭედი საქმისათვის, როგორიც არის არჩევნები, მთავარი საფინანსო-პოლიტიკური კლანები მაინც გამონახავენ დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ფულს.

ამ შემთხვევაში თამაშში ძირითადი ფაქტორი გახდება ყოველი კლანის ადმინისტრაციული რესურსის მოცულობა. ამ რესურსის ერთი ხელის დაკვრით შექმნა კი შეუძლებელია. შესაბამისად, 2004 წლის არჩევნების შემდეგ რუსეთში მოსალოდნელია გაჯფერებული ბრძოლა მთავრობასა და კრემლში ძირითადი პოსტების დაკავებისათვის. ალბათ, სრულ გამარჯვებას ამ ომში ვერავინ მოიპოვებს. შეიძლება ისიც კი ვივარაუდოთ, რომ პრემიერის პოსტი დაიკავოს პოლიტიკურად ნეიტრალურმა ან აშკარად სუსტმა ფიგურამ.

2005 წელი. თამაში ჩაბერვაზე. მოქმედი პრეზიდენტის უაღრესად მაღალი რეიტინგის პირობებში საკმაოდ რთული იქნება რომელიმე ახალი ფიგურის აღმოჩენა. ასეთ პირობებში ვლადიმერ პუტინის დიდი პოპულარობის შენარჩუნება ხელსაყრელი იქნება მხოლოდ თვით პუტინისა და პრეზიდენტის უახლოესი გარემოცული პირებისათვის. ძირითადი კლანები ალარ დაბანაგდებენ მნიშვნელოვან რესურსებს პუტინის სასარგებლოდ.

2006 წელი. კანდიდატების დათვალიერება. პრეზიდენტის რეიტინგის გარდუვალი დაცემა გამოიწვევს მოთხოვნას ალტერნატიულ ფიგურებზე. კონკურენცი კლანები ახორციელებენ ქვეყნის ახალი ლიდერის პოსტის დაკავების პოტენციური კანდიდატების ტესტირებას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით რუსეთის მოსახლეობას აცნობენ ხალხის ახალ და პერსპექტიულ მსახურებს. იმის მიხედვით, თუ როგორ რეაგირებას მოახდენს პუბლიკა, ზოგი კანდიდატი სწრაფად ჩაიძირება პოლიტიკური ძალისხმევის მორევში, ზოგი კი მიიღებს საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ ეტაპზე ბრძოლის უფლებას.

2007 წელი. გენერალური რეპეტიცია. მთელი წელი ჩაიელის დეკემბრისათვის დანიშნული პარლამენტის არჩევნების ნიშნით. თავისი სიმწვავით ეს არჩევნები შეედრება 1998 წლის კამპანიას. ყველას კარგად აქვს შეგნებული: სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების შედეგებმა შეიძლება განსაზღვროს პრეზიდენტის კანდიდატების „ტესტირებას“. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით რუსეთის მოსახლეობას აცნობენ ხალხის ახალ და პერსპექტიულ მსახურებს. იმის მიხედვით, თუ როგორ რეაგირებას მოახდენს ეროელ, ომსკის ოლქს.

პოტენციური კანდიდატი. ამ ეტაპზე, ასეთად მიიჩნევენ მიხეილ კასიანოვს. მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოსტიდან გადადგომის შემდეგ პრემიერები აღარ არიან პრეზიდენტობის სერიოზული კანდიდატები. ამას ვერც ისეთი პოპულარული პოლიტიკოსი გაექცა, როგორიც არის პრიმაკოვი. ამიტომ, კასიანოვის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის გრძელვადიანი პერსპექტივები, მთლად ნათელი ფერებით არ არის გაცისკროვნებული. ამ კლანიდან სხვა პოტენციურ კანდიდატებს ჯერჯერობით არ გამოიხატავენ.

ხოდორკოვსკის იმპერია

ფინანსური რესურსი. ჟურნალ „ფორბსის“ შეფასებით, რუსეთში ყველაზე მდიდარი ადამიანის – მიხეილ ხოდორკოვსკის ქონებამ მიმდინარე წლის დამდეგისათვის 8 მილიარდ დოლარს გადაჭარბა. გარდა ამისა, მის კუთვნილ „იუკოსის“ კომპანიაში კიდევ სულ ცოტა ხუთი (!) მილიარდერი მუშაობს.

ადმინისტრაციული რესურსი. ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გარკვეული, თუ რა დონის გავლენა აქვს ჯგუფს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში. რაც შეეხება პარლამენტს, ხოდორკოვსკი უკვე არა ერთი წელია მძლავრ ფინანსურ დახმარებას უწევს ყველა ძირითად პარტიას – კომუნისტები იქნებიან ესენი, თუ მემარჯვენე ძალთა კავშირი.

სახელმწიფო სათათბიროს დემოკრატიულ ფრეებში „იუკოსის“ შეფს უკვე ახლა აღიქვამენ, როგორც უწენაეს არბიგრს, მაგალითად, როცა მემარჯვენე ძალთა კავშირსა და „იაბლოკოს“ შორის წამოიჭრება განსაკუთრებით მწვავე კონფლიქტი, მის მოგვარებას ხშირად სთხოვენ ან თვით ხოდორკოვსკის, ან მის მარჯვენა ხელს – ლეონიდ ნევზლინს.

სახელმწიფო სათათბიროს 2003 წლის არჩევნებში ხოდორკოვსკი ძირითად იმედებს „იაბლოკოზე“ ამყარებს. როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, „იუკოსი“ ამჟამად არის იავლინსკის პარტიის დაფინანსების თითქმის ერთადერთი მნიშვნელოვანი წყარო. ამის სანაცვლოდ, „იაბლოკომ“ თავის საარჩევნო სიებში ხოდორკოვსკის „კაცების“ დიდი ჯგუფი შეიყვანა. „იუკოსისაგან“ კანდიდატების კიდევ ერთი მძლავრი ჯგუფი უნდა მოხვდეს ქვედა პალატაში ერთმანდატიანი ოლქებიდან. როგორც ამბობენ, ახალ სათათბიროში აპირებენ შექმნან დეპუტატთა მთელი ჯგუფი ოლიგარქის მხარდამჭერთაგან.

პოტენციური კანდიდატი. პოლიტიკურ მოსაკოფში ახლა ბევრს ლაპარაკობენ ხოდორკოვსკის საპრეზიდენტო ამბიციებზე. „იუკოსის“ თავკაცის გარემომცველი პირების მტკიცებით, ამ ხმებს ავრცელებენ „პეტერბურგელი ჩეკისტების“ კლანის ლიდერები. მაგრამ, თვით ხოდორკოვსკი ძალზე ბუნდოვნად განმარტავს სიტუაციას – ბიზნესი მომყირჭდა, 2007 წლისთვის ვაპირებ რაღაც სხვა საქმეს მოვკიდო ხელი.

ხოდორკოვსკის პრეზიდენტად არჩევის შესაძლებლობის თაობაზე განსხვავდება ექსპერტების მოსაზრებები. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეროვნება და ოლიგარქის სტატუსი მტკიცედ უკეტავს „იუკოსის“ შეფს ქვეყნის უმაღლესი პოსტისაკენ მიმავალ გზას. მეორენი კი დარწმუნებული არიან, რომ ამ დაბრკოლებების დაძლევა შესაძლებელი იქნება.

თუ ხოდორკოვსკი თვითონ არ წამოაყენებს საკუთარ კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე, მაშინ იგი, ალბათ, გახდება ქვეყნის ლიდერობის რომელიმე სხვა ძირითადი კანდიდატის მთავარი სპონსორი. თანაც, ეს კანდიდატი ნამდვილად არ იქნება იავლინსკი. მათი ამჟამინდელი ალიანსის მიუხედავად, ამ ორი ფიგურის ურთიერთობა ძალზე გართულდა.

„ლიბერალი პეტერბურგელები“

ფინანსური რესურსი: საშუალო. მაგრამ ამ ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს – ჩუბაისს – გააჩნია ორი დიდი კოზირი. კერძოდ, მას შეუძლია თავის ირგვლივ დარაზმოს რუსეთის ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი და საჭიროების შემთხვევაში, საზღვარგარეთ მოიპოვოს ფინანსება.

ადმინისტრაციული რესურსი: ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის, როგორც პოლეგიკური მენეჯერის, საყოველთაოდ აღიარებული ნიჭი. ძალთა საღღეისოდ არსებულ განლაგებაში ამას უნდა დავუმაგოთ ისიც, რომ ჯგუფი კონტროლს უწევს რუსეთის ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ მონოპოლიას, თანაც დიდია ქვეყანაში ისეთი მინისტრების გავლენა, როგორებიც არიან კულრინი და გრეფი. მაგრამ, საფ არის იმის გარანტია, რომ 2008 წლისათვის ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ პოსტებს?

პოტენციური კანდიდატი: ყველა რუსი პოლიტიკური მოთამაშისათვის კარგადაა ცნობილი, თუ როგორ ესწრაფვის ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი უმაღლეს ხელისუფლებაში მოხვედრას. საქმეში ჩახედული ადამიანების აზრით, ეს კაცი უთუოდ მიიღებს მონაწილეობას საპრეზიდენტო მარათონში. ყველაზე ნაკლები, რასაც შეიძლება იგი დასჯერდეს, იქნება პრემიერის ან კრემლის ადმინისტრაციის მეთაურის პოსტი იმ პირობით, რომ მას მთლიანად გამოუცხადეს ნდობას პრეზიდენტი.

ბალაქტიკა „ალფა“

ფინანსური რესურსი: „ფორბსის“ შეფასებით „ალფას“ მეთაურის მიხეილ ფრიდმანის ქონება დაახლოებით 4,3 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ადმინისტრაციული რესურსი: ძალზე სერიოზული. „ალფას“ ჰყავს უამრავი მეგობარი მინისტრების მოადგილეების, უწყებათა სამმართველოების უფროსებისა და სხვა დონეზე. გარდა ამისა, ჯგუფს აქვს უდიდესი გავლენა ისეთ მნიშვნელოვან რეგიონებში, როგორიც არის გიუმენი.

პოტენციური კანდიდატი: ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ „ალფას“ ხელმძღვანელები ბორის ნემცოვს მიიჩნევდნენ ქვეყნის ლიდერობის შესაძლო კანდიდატად. მაგრამ ახლა მისი მაშანდა დაეცა. და სხვა პოტენციური კანდიდატები „ალფა-საგან“ ჯერჯერობით არ ჩანს. სავსებით შესაძლებელია, რომ „ალფა“, ბოლოს და ბოლოს, ერთ ბლოკში გაერთიანდეს ჩუბაისის ჯგუფთან.

კომპარტია

ფინანსური რესურსი. ყველა სხვა პოლიტიკური ძალისაგან განსხვავებით, კომპარტიას არ სჭირდება მძლავრი ფინანსური ინექციები. აქგვისგთა ძირითადი მასა იდეისთვის შუშაობს. პარტიის აპარაგის შუაკეთა უმრავლესობა რეგიონებში კი კმაყოფილდება თვეში რამდენიმე ათასი რუბლის ოდენობის ხელფასით.

ადმინისტრაციული რესურსი. სუსგი.

პოტენციური კანდიდატი. ამომრჩეველთა დაახლოებით 20 პროცენტი ყოველთვის მისცემს ხმას „ეროელ“ კანდიდატს, ვინც უნდა იყოს იგი. ექსპერტთა შეფასებით, რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის პოპულარობა შეიძლება გაიზარდოს, თუ მის სათავეში იდგება არა მიუგანოვი, რომელმაც ყველას უკვე მოაბეზრა თავი, არამედ სერგეი გლაზიევი.

2008 წლის არჩევნებში ყველა ზემოაღნიშნული ჯგუფის რესურსების შეფასება (ათბალიანი სისტემით) ვთხოვეთ ექსპერტებს – სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის ფედერაციის კომპარტიის ფრაქციის კოორდინატორს სერგეი რეშულსკის, მემარჯვენე ძალთა კავშირის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს ბორის ნადეჟდინს, პოლეგოლოგებს ბორის მაკარენკოს, ვიაჩესლავ ნიკონოვსა და იოსებ დისკინს. აი, რა გამოვიდა შეჯერებული გაბულით...

„პოზიციოლსკაია პრავდა“, 2003 წლის 27 მაისი.

ევროპული ექსპედიცია მარსზე

ორშაბათს სალამის ბაიკონურის კოსმოდრომიდან სგარგს აიღეს „მარს-ექსპრეს“ კოსმოსური აპარატი, რომელმაც ნახევარი წლის შემდეგ უნდა მიაღწიოს წითელი პლანეტის ორბიტის და განსახორციელოს მასზეგბური გამოკვლევები, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაგვეკი პასუხი კითხვის: არის თუ არა სიცოცხლე მარსზე?

300 მილიონ ევროდ შეფასებულ ამ პროექტს ევროპის კოსმოსური სააგენტო ახორციელებს და ეს პირველი საპლანეგათმორისო გადაფრენაა, რომელსაც ევროპა დამოუკიდებლად მეასრულებს. აპარატს კოსმოსში გაიყვანს რუსული „სოიუზ ფგ“ რაკეტმგაგრეველი.

როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, ამ მისიის წარმატების იმედის მიუხედავად, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მარსმე წინათ განხორციელებული 30 ფრენიდან 20 წარუმატებლად დასრულდა.

„წითელი პლანეტის კოსმოსურ კვლევას ზმირად სდევდა მარცხი, და ეს ჩვენთვის ძალზე რთული მისიაა“, – განუცხადა რეიგერს ევროპის კოსმოსური სააგენტოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დევიდ სუტეუოდმა.

„ბიგლ-2“ სამეცნიერო მოდული, რომელიც მარსზე უნდა დაეშვას, გრეენლად წააგავს ერთად თავმოყრილ მრავალ ნაგვის ყუთს. სინამდვილეში კი ეს ულტრათანამედროვე ხელსაწყოების კომპლექსი გახლავთ, რომელმაც უნდა მეისწავლოს პლანეგის ზედაპირი და მოძებნოს იქ წყალი.

„შესაძლოა, მარსზე ოდესღაც არსებობდა სიცოცხლე, ჩვენ მოვძებნით ამის დამადასტურებელ საბუთებს, იქნებ, მიკროორგანიზმებიც ვიპოვოთ, რომლებიც ახლაც ცოცხლობენ იქ“, – თქვა სუტეუოდმა.

როგორც ვარაუდობენ, „ბიგლ-2“ მოდულს მარსის ორბიგიდან დაუშვებენ და იგი სპეციალურ საპაერო ბალიშზე დაჯდება. თუ ოპერაცია წარმაგებით დასრულდება, მოდული ამას დედამიწას უპაგაკებს ერთ-ერთი ინგლისური ჯგუფის სიმღერის მცირე ფრაგმენგით.

მეცნიერები აცხადებენ, რომ ამ მისიის დროს ისინი პირველად შეეცდებიან გაარკვიონ, შეიძლება თუ არა ხორცი შეესხას მრავალი მეცნიერი ფანგასგის ოცნებას და გამოდგება თუ არა მარსი ადამიანების საცხოვრებლად.

დევიდ სუტეუოდს სწამს, რომ პირველი პილოგირებული ფრენა მარსზე უკვე 20-25 წლის შემდეგ შეიძლება განხორციელდეს.

იმამ სამუდრას, შესაძლებელია, სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანონ

ინდოეთში დაიწყო იმამ სამუდრას სასამართლო, რომელიც ეჭვმიტანილია ბალის საკურორტო კუნძულზე განხორციელებული აფეთქების ორგანიზაგორი იყო რადიკალური ისლამური დაჯგუფება „ჯემაა ისლამია“, რომელიც ასეთი გზით ცდილობდა შურისძიებას ინდონეზიაში მუსლიმანების შევიწროვებისათვის.

ორშაბათს ასევე უნდა განახლდეს ბალის კუნძულზე აფეთქების ორგანიზიებში კიდევ ერთი ეჭვმიგანილის – ამზორი ბინ ნურამშინის სასამართლო პროცესი. როგორც პოლიცია ეჭვობს, მან შეისყიდა ასაფეთქებელი ნივთიერება და სხვა მასალები თავდასხმის ორგანიზებისათვის.

ინდონეზიაში ღამის კლუბში აფეთქებიდან ოთხი დღის შემდეგ იგი კვლავ რჩებოდა კუნძულზე, რათა ედევნებინა თვალყური, თუ როგორ იქიებდა პოლიცია ამ საქმეს.

სამართალდამცავი ორგანოები აცხადებენ, რომ ღამის კლუბში განხორციელებული აფეთქების ორგანიზაგორი იყო რადიკალური ისლამური დაჯგუფება „ჯემაა ისლამია“, რომელიც ასეთი გზით ცდილობდა შურისძიებას ინდონეზიაში მუსლიმანების შევიწროვებისათვის.

ორშაბათს ასევე უნდა განახლდეს ბალის კუნძულზე აფეთქების ორგანიზიებში კიდევ ერთი ეჭვმიგანილის – ამზორი ბინ ნურამშინის სასამართლო პროცესი. როგორც პოლიცია ეჭვობს, მან შეისყიდა ასაფეთქებელი ნივთიერება და სხვა მასალები თავდასხმის ორგანიზებისათვის.

რა არ ხდება...

აბიეპური პნევმონიის მსხვერპლთა რიცხვმა 764-ს მიაღწია. სულ კი, მთელ მსოფლიოში, რეგისგრირებულია ამ მძიმე შეგავე რესპირაგორული სინდრომით დაავადების 8360 შემთხვევა. ჩინეთში, სადაც პირველად აღმოაჩინეს დაავადება, დაფიქსირებულია 7744 ასეთი შემთხვევა.

* * *

ბაღდადში დაუდგენელმა პირებმა ხელყუმბარა ესროლეს ამერიკელების ჯავშნიან მანქანას, რის შედეგადაც ორი ამერიკელი ჯარისკაცი დაიჭრა. ამერიკელებმა საპასუხო ცეცხლით მოკლეს ორი ერაყელი და სამიც – დაჭრეს.

* * *

ლიბია აპირებს გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა ერაყთან. დიპლომატებს გამოეთხოვნენ ბაღდადიდან იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაუქმა უცხოეთის დიპლომატიურ მისიათა სტატუსი ერაყის ტერიტორიაზე. ასეთი გადაწყვეტილება „არანაირ გავლენას არ მოახდენს ლიბიელი და ერაყელი ხალხების ურთიერთობაზე“, – საზეგასმულია ლიბიის საგარეო-პოლიტიკური უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

* * *

ფილიპინა-საფრანგეთის საზღვარზე დასრულდა ანტიგლობალისტთა დემონსტრაცია. ყველა დემონსტრანტი დაუბრუნდა „საწყის პოზიციებს“ – ნაწილი ეკონომიკაში, ნაწილი – საფრანგეთის ქალაქ ანმასში. შეეიტრის პოლიციის მონაცემებით, საპროტესტო აქციაში 50 ათასამდე კაცი მონაწილეობდა.

* * *

შვეიცარიაში ინციდენტი მოხდა ბიკეგოს ერთ-ერთ გარეუბანში მდებარე განსაცმლის მაღაზია „ექსპრესში“. გიგანტური ოთხსეგრიანი სარკე მოულოდნელად მოწყდა კედელს და დაეცა იქვე მდგომ ბიჭს.

2 ივნისს ზუსგად 50 წელი შესრულდა ბრიგანეთის დედოფლის ელისაბედ შეორის კორონაციის დღიდან. მაშინ ვარაუდობდნენ, რომ გასგმე ასეული ცერემონია გაიმართებოდა დახურულ კარს მიღმა და მას ვერ ახილავდნენ ახალგაზრდა დედოფლის ქვეშევრდომები. მაგრამ, ბი-ბი-სის დაკვნებითი მოთხოვნით, საზეიმო ცერემონია პირდაპირი ეთერით გადაიცა და ამ დღემ მთლიანად შეცვალა ტელევიზიის როლი საზოგადოებაში.

უცხოეთის საგარეგოებისა და ტურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

ზაზა ბეშანიძემ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 143. სამშაბათი, 3 ივნისი, 2003 წელი.

ახალი ნომერი

ბავშვთა დღეს გილოცავთ „ომეგა“


